ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢ-ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲐᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ | № 244 | ხუთშაბათი, 30 მაისი 1918 წ. | № 244

# სახალხო საქმე

## მთავარი კომიტეტის ორგანო

ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ კარლო ჩხეიძე აირჩიეს—გერმანიამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და დანიშნა დიპლომატიური წარმომადგენელი ტფილისში და კონსული ფოთში; გერმანია აღუთქვამს საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიის დაცვას.—აზერბეიჯანმა აუწყა უცხო სახელმწიფოებს, რომ ამიერიდან ის დამოუკიდებელი სახელმწიფოა.—ტფილისში საალყო წესები გამოცხადდა.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., ქრონიკის განყოფილებაში 1 მ. ... კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი ჯერ ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი ხამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მან., 20×2 ღირს 15 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (...) ბარათაშვილის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.
ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დაბეჭდვი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, ხახანოვის ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.
ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.
ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

გაიანე ყარამან იაშვილის ასული ჯაფარიძისა და ტასია ვარლამის ასული ჯაფარიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 28 მაისს, დილის 10 საათზე, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი მაზლი და მეორის—ბიძა

ალექსანდრე ლუარსაბის ძე ჯაფარიძე

ცხედარს ბინიდან (კორღანოვის ქ. № 13) გამოასვენებენ დღეს, 30 მაისს დილის 9 საათზე, წაასვენებენ ქუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე, სადაც წირვისა და პანაშვიდის შემდეგ მიაბარებენ მიწას. 565 1

ღრმად დამწუხრებულნი დედა ნატალია, ცოლი ეფროსინია, და მილიტინა და სიძე პარმენი ჯაფარიძეები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. ტფილისში ყორღანოვის ქ. სახლი № 13

ალექსანდრე ლუარსაბის ძე ჯაფარიძე

ცხედარს გამოასვენებენ ქუკიის ეკლესიაში დილის 9 საათზე, 30 მაისს, სადაც გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. დაკრძალვა ქუკიის სასაფლაოზე. 564-2

ტფ. ვაჭარ-მრეწველთა

კავშირის მრეწველთა ფრაქციის წევრთა წინასწარი კრება დანიშნულია პარასკევს 31 მაისს (ახალი სტილ.) საღამოს ექვს საათზე სამეურნეო ბანკის ბინაზე (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი) კავშირის წევრებს-მრეწველებს სთხოვენ კრებას დაესწრონ. 562

ხუთშაბათს, 1918 წლის 3ა მაისს,

ქართული კლუბი

გადადის საზაფხულო შენობაში.



დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ბაღი, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—00.

დღეს 30 მაისს გაიმართება

ბრწყინვალე წარმოდგენა

ყველა ევროპიელ ცნობილ მსახიობების მონაწილეობით „იაპონელ სამურაი ხ რაკირის" „მოგზაურობა პარიზში" და სხვა. მონაწილეობენ ხასაკიტი-სან, ზტიკი, იუნჰეიმი, ესმერალდო, პ. ელიზაროვი და სხვები.

ანონსი: პარასკევს გაიმართება პ. ელიზაროვის ბენეფისი. მზადდება კაბარე-ბოქს. მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. ს., დასასრული 11 ს. 563

ქალაქის გამგეობა

აცხადებს

რომ ქალაქის სხვა და სხვა რაიონში და მის გარშემო უბნებში (სადგურის იქით ნაწილში, ლოტკის გორაზე, დიდუბეში და სხვაგან) საჭიროა ბინა საქალაქო სასწავლებლებისათვის: აქვე უნდა იყოს ზედმეტი ოთახები სასწავლებლის გამგესათვის (2—3 ოთახი) და სხვა საჭიროებისათვის.

განცხადებების შემოტანა შეიძლება ქალაქის გამგეობის სახალხო განათლების განყოფილებაში, ერევნის მოედანზე.

ქართული კლუბი

ხუთშაბათს 30 მაისს (ახალი სტილ.) 1918 წ.

ქართული ძველი დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ოპერეტა

არშინ მალ-ალან

ოპერეტა 4 მოქ. გაჯიბეგოვისა, თარ. ვ. გიგოშვილისა.

ასკარას როლს შეასრულებს მ. ჯანოევი. სულთან ბეგი, ი. რევაზოვი, სულეიმანი კ. ჩაგუნავა, ვალი ნ. მირველოვი, გულჩორა მ. გიგოშვილისა, ასია ვ. მარგველაშვილი, ხალა ო. ფიქაროვი, თელი ა. არჯევანიძე.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. ბილეთები იყიდება კასაში.

555 გამგე ვანო გიგოშვილი.

საზოგადოება „იმედი"-ს

სასადილო

ძველი სემინარიის შენობა, პუშკინის სკვერის პირდაპირ.

გაუმჯობესებულია სამზარეულო,

ჯიშიან ღვინო ხარისხოვანი სანოვაგე, ამზადებენ ვახშამს, რუმინელთა სიმებიანი ორკესტრი საღამოს 8 ნახ.—12 ნახ. საათამდე. 551

20 მარტიდან ქ. ტფილისში გაიხსნა

სავაჭრო სახლი

„კომერსანტი"

კერძო პირთ, საზოგადოებებს, კოოპერატივებს, სხვა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს, ქალაქისა და სოფლის ხალხს შეუძლია ამ სავაჭრო სახლის შემწეობით შეიძინოს ყოველგვარი ნაწარმოებები, რაც კი მოიპოვება შინაურ და უცხოეთის ბაზარზე.

ყველას, ვისაც რაიმე ნაწარმოები აქვს, შეუძლია გაასაღოს სავაჭრო სახლი „კომერსანტი"-ს შემწეობით.

„კომერსანტს" ჰყავს აგენტები როგორც კავკასიის ყველა დიდ ქალაქებში და სოფლებში, ისე რუსეთის და უცხოეთის დიდ ქალაქებში.

„კომერსანტი" თვალყურს ადევნებს შინაურ და უცხოეთის ბაზარს, იცის რა ნაწარმოებია იქ გამოტანილი და რა დღეებში შეიძლება მისი შეძენა.

„კომერსანტებს" აქვს რუსეთის და უცხოეთის დიდი ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლობა და მხოლოდ მისი შემწეობით შეუძლიათ მსურველთ ამ ფაბრიკა-ქარხნებიდან სხვა და სხვა მანქანების და ნაწარმოებების შეძენა.

„კომერსანტი"-ს კანტორა მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე ქალაქის სახლში № 10 და ღიაა დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

დეპეშით მისამართი ტფილისი „ტორგდომი". 1160

**ტფილისი. 30 მაისი 1918 წ.**

საქართველოს რესპუბლიკას, ახალის საქართველოს თავისუფლებას გზით. დაცვა უნდა. უნდა ბოლო მოეღოს უზომო ქანაობას, უზომო ყოყმანს და უზომო თავიდან აცილებას ვალდებულობისას. თავდადებული გმირები უკვე იბრძვიან ფრონტზე და თავიანთი მკერდით იფარავენ საქართველოს მოზღვავებული მტრის შემოსევისაგან. მაგრამ საქართველოს დაცვა მარტო იმათი ვალი არ არის, ვინც თითონა ჰგრძნობს ვალდებულებას და მიდის ბრძოლის ველზე, როგორც გმირი, როგორც განწირული მსხვერპლი. ჩვენ ღრმა პატივისცემით მოვეპყრობით ასეთს თავ-განწირულ ადამიანებს, საშვილიშვილო ძეგლს დაიდგამენ საქართველოს თავისუფლებისთვის დაღუპულნი, მაგრამ სახელმწიფოს ვერ შეუძლიან მთელი თავისი იმედები ამისთანა კერძო პირთა გმირობაზე დაამყაროს.

ყველა, ვისაც კი სახელმწიფო მოუწოდებს საბრძოლველად, ვალდებულია ერის საერთო ინტერესებს დაემორჩილოს და თუ მათ საკმაო შეგნება არა აქვთ, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს იმდენი ძალა, რომ ასეთი შეუგნებელი ადამიანი დაიმორჩილოს.

თავისუფლება უდიდეს ვალდებულებას აძლევს ყოველს მოქალაქეს. არც ერთი ვალდებულება არ არის ისეთი აუცილებელი, როგორც ვალდებულება განთავისუფლებული საქართველოს წინაშე. ამ ვალდებულების წინაშე მორჩილებით ქედი უნდა მოიხაროს ყოველმა გარეწარმა, ყოველმა მოღალატემ, რომელიც ამა თუ იმ მოსაზრებით მოისურვებს თავი დააძვრინოს წმინდა გარდაუვალ ვალდებულებას.

თავდაცვისათვის იმდენად ბევრი ჯარი არ არის საჭირო, რამდენადაც წესიერი ორგანიზაცია სამხედრო ძალებისა და მოწესრიგება ზურგისა. დიდი და პატარა, უფროსი და უმცროსი—ყველა თავის ადგილზე უნდა იდგეს და სასტიკი სასჯელის მოლოდინში უყოყმანოდ ასრულებდეს იმ საქმეს, რომელსაც თხოულობს ყოველი მოქალაქისაგან ჩვენი პატარა, მაგრამ სულით ძლიერი საქართველო. ერთნაირის სისასტიკით უნდა მოეთხოვოს ვალდებულებათა ასრულება როგორც უფროსებს, ისე უმცროსებს. ყოველნაირი განკარგულება მთავრობისა ზედმიწევნით უნდა სრულდებოდეს და ყოველი დამრღვევი ამ განკარგულებისა, ვინც უნდა იყოს იგი, რა თანამდებობაც არ უნდა ეჭიროს სასტიკად უნდა ისჯებოდეს.

კმარა ამდენი სისუსტე, კმარა ამდენი ლოლიავობა იმათ მიმართ, ვისაც შეგნებული არა აქვს ვალდებულება სამშობლოს წინაშე! განთავისუფლებულ სამშობლოს დაცვა უნდა და ვინც ამ დაცვას თავს აცდენს, ის სამშობლოს მოღალატეა. სამშობლოს მოღალატე კი შეუძლებელია დაუსჯელი დარჩეს.

საქართველოს რესპუბლიკა ახალის გზით უნდა წავიდეს. განახლებულსა და ფენიქსებრ აღდგენილ ჩვენს სამშობლოს ესაჭიროება დაცვა და ამისთვის უნდა ამოძრავდეს მთელი სასიცოცხლო ძალა.

## საგარეო და შინაური პოლიტიკა

სასტიკ პირობებში მოხდა დამოუკიდებელ საქართველოს გამოცხადება. გარედან მტრის სალტე აკრავს ჩვენს პატარა ქვეყანას და შიგნით ანარქია დათარეშობს. მძიმე მდგომარეობაშია ჩვენი ნორჩი მთავრობა.

რა გზით შეიძლება საქართველოს თავისუფლების დაცვა? სად უნდა ეძებოს მთავრობამ ხსნა? საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში?

თავის თავად ცხადია, ვერც ერთი მთავრობა ვერ დაემყარება ვერც მარტო საგარეო, ვერც მარტო შინაურ პოლიტიკას. ვერც საქართველოს მთავრობა დაამყარებს ჩვენი ქვეყნის ბედს ან მარტო საგარეო, ან მარტო შინაგან ძალებზე, მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია ამ საკითხის დაყენება.

1783 წლიდან ქართველის ერის შინაური პოლიტიკა დამყარებული იყო საგარეო ძალების ანგარიშზე. ერეკლე მეფე იძულებული შეიქმნა მოზღვავებულ მტერთა წინაშე ქედი მოეხარა და ქართველი ერის განვითარების საფუძვლად რუსეთის ძლიერება ეცნო. მიმდინარე წლის 26 მაისამდე ეს პოლიტიკა ახასიათებდა არსებითად ქართველ ერის ყველა გაძლენიან ხელმძღვანელს. ამ პოლიტიკას აწარმოებდნენ თავად-აზნაურები, ვიდრე ისინი იდგნენ საქართველოს სათავეში, ამ პოლიტიკას აწარმოებდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები მას შემდეგ, რაც ხალხის მესვეურობა მათ ხელში გადავიდა. ისტორიულ მსვლელობაში ეს პოლიტიკა გამტყუნდა და დაიშრიტა. როცა რუსეთის სამხედრო ფრონტი დაიშალა და რუსის მხედრობამ საქართველო დასტოვა, ჩვენი ერის მესვეურებმა სცადეს რუსეთის მაგიერ ხალხის განვითარების საფუძვლად გამოეყენებინათ ამიერკავკასია. ამ ცდის ავტორებმა 26 მაისს თითონვე აღიარეს, რომ ეს ცდაც ამაო გამოდგა. ჩვენს დროში, როცა ყოველ დღეს წელთა ათეულების მნიშვნელობა აქვს, საჭირო შეიქმნა ექვსი თვის ექსპერიმენტი, რომ დაენახათ ის, რაც გამჭრიახი პოლიტიკოსებისთვის უამისოდაც ნათელი უნდა ყოფილიყო—„ამიერკავკასიის" პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი შეუძლებლობა...

ამ სტრიქონებს არც რომელისამე პოლიტიკური პარტიის დასაძრახავად ვწერ, არც საბრალმდებლო ოქმის შესადგენად. პატარა, მცირერიცხოვანი ერი, ბუნებრივია, გარეშე ძალებს ეძებდეს მყუდრო ნავთსაყუდელის საპოვნელად.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება არის ხორცშესხმულება იმ აზრისა, რომ ეხლანდელ პირობებში არ არსებობს ისეთი საგარეო ძალა, რომელსაც შეიძლება იმედიანად მიეყუდნოს ქართველი ხალხი.

ტრადიციას ადამიანთა ცხოვრების ყოველ სფეროში დიდი გავლენა და მნიშვნელობა აქვს. ტრადიციას შეალმატებული მნიშვნელობა აქვს პოლიტიკის საქმეებში. ამისი საბუთია ისიც, რომ რუსული ორიენტაცია, რომელიც შეადგენდა საქართველოში სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ძლიერების ქვაკუთხედს, ხალხის მასსაზე შეუგნებელ ტრადიციის სახით მოქმედებდა. მესვეურებს ეგონათ, ქართველი ხალხი ნაციონალიზმის უარმყოფი ხალხია და იმიტომ მისდევს სოციალ-დემოკრატიის დროშასო. ნამდვილად კი ხალხს ჰხიბლავდა ჩვენი სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის საფუძველში ჩამალული რუსული ორიენტაცია. არც ერთი ეპოქა არა ფიქრობს თავის თავზე იმას, რაც ის ნამდვილად არის, ამბობდა კაპიტალიზმის კრიტიკოსი კ. მარქსი. არც ჩვენი სოციალ-დემოკრატები და არც მათი მიმდევარი ხალხი ფიქრობდა თავის თავის შესახებ იმას, რასაც ის ნამდვილად წარმოადგენდა. გარეშე ძალების ორიენტაციის ტრადიცია, ერეკლე მეფის დროიდან ნაანდერძევი, ასე ძლიერი იყო. ამ პოლიტიკური ტრადიციის ორმა კონკრეტიულმა ფორმამ, რუსეთის მთლიანობამ და ამიერკავკასიის ერთობამ, თავისი შეუფერებლობა საქართველოსთვის უკვე ცხად ჰყვეს. მაგრამ თუ ამ პოლიტიკის კონკრეტულ ფორმათა დამარცხებაში ჩვენი ქვეყნის მესვეურებმა ვერ განსჭვრიტეს თვით პოლიტიკის დედა-აზრის დამარცხება, ისინი ამიერკავკასიის ერთობის და რუსეთის მთლიანობის მაგიერ სხვა საგარეო ორიენტაციის ძებნას დაიწყებენ. სამწუხაროდ ამისი ნიშნები უკვე სჩანს. იშვიათად, მაგრამ მაინც ჟონავს ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკოსების მოქმედებასა და განცხადებაში ხან ოსმალური, ხან გერმანული ორიენტაციის ნიშნები.

ჩვენ გვგონია, რომ საძირკველი სახელმწიფოებრივი სიმტკიცისა შინაგანი ორგანიზაცია და არა საგარეო ძალები. რუსეთი ამ ომში ბევრჯელ დამარცხდა ბრძოლის ველზე, მაგრამ გერმანიის კოლონიად ის იქცა მხოლოდ მაშინ, როცა ბოლშევიკური ანარქიის წყალობით შინაური სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია დაკარგა. რომი დაეცა მაშინ, როცა შინაური წყობილება დაუძლურდა. ამიერკავკასიის რესპუბლიკა დაამხო შინაურ ძალთა გამთიშაობამ და არა საგარეო მტერმა. სახელმწიფოთა ისტორია სავსეა ამგვარი მაგალითებით. ერი და სახელმწიფო სიკვდილის გზას ადგება, როცა ის საგარეო ძალებზე სცდილობს დაემყაროს და არა თავის შინაურ ძალთა ორგანიზაციას.

საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა იმ დროს, როცა მას ყველა მხრიდან მტრის რაზმები აწვებიან. ასეთ გამწვავებულ საგარეო მდგომარეობის პირობებში მეტად ძნელია შინაური სახელმწიფოებრივი შემოქმედების გაღვივება, მაგრამ თუ შინ წესიერება არ აღსდგა, საგარეო პოლიტიკა, რაც უნდა ნიჭიერი დიპლომატები აწარმოებდნენ მას, მაინც ქვეყანას ვერ იხსნის. საგარეო პოლიტიკის ძალა სახელმწიფოს შინაგან ძლიერებაზეა დამყარებული. ჩვენი ნორჩი მთავრობა, რა თქმა უნდა, თავის საკუთარის ძალღონით უეცრივ მთელ საქართველოში წესიერებას ვერ აღადგენს, მაგრამ თუ მას ამ საქმეში ჩვენ ყველამ ერთგულად დაუჭირეთ მხარი, გაუადვილებთ და შევუმსუბუქებთ იმ პასუხსაგებ ტვირთს, რომელიც მას ეროვნულმა საბჭომ დააკისრა. მთავრობა სახელმწიფოებრივი აქტივობის ელემენტია. ჩვენ გვინდა ვირწმუნოთ, რომ ის ამ აქტივობას საქართველოს შინაურ ორგანიზაციის დასამყარებლად უზენაეს ხარისხამდე განავითარებს, ჩვენ გვჯერა, რომ ამ საქმეში მას მთელი შეგნებული საქართველო ენერგიულად დაეხმარება, და ჩვენ ვფიქრობთ, რომ მაშინ საქართველოს მთავრობა შესძლებს თავისი საგარეო პოლიტიკა უფრო ნაყოფიერად აწარმოოს, ვიდრე დღემდე აწარმოებდა მას ამიერკავკასიის მთავრობა.

გ. რცხილაძე.

# ქართული პრესა

„ერთობა“ კვლავ ეხება საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს და ამბობს, რომ მას

თავის ბუნებრივი საფუძველი აქვს. იგი ერთი ერის სახელმწიფოა და ამით იმ მთავარ დებულებას ექვემდებარება, რომელიც კარლ კაუცკის არა ერთხელ აღუნიშნავს: „სოციალ-დემოკრატიის“-თვის ყველაზე უფრო მისაღებია: ერთი ერი, ერთი სახელმწიფო.

რომ ჩვენ ქვეყნის, ამ პატარა საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის შერჩენა შესაძლებელი იყოს, რომ გარშემორტყმული იმპერიალისტური ძალები მას თავის სათამაშო ბურთად გადაქცევას და ზოგან—სრულიად გასრესასაც არ ემუქრებოდენ, ჩვენ შეგვეძლო და საბუთიც გვექნებოდა ზეიმით და აღტაცებით მივგებებოდით ამ აქტს. თუ აღტაცებას არ ქონდა იმდენი ადგილი დათმობილი—ეს სწორედ ზემო მოყვანილი საბუთების გამო. შეუძლებელია მხიარულება და თავდავიწყება მაშინ, როცა, მტერი კარზე გადგია და შემუსვრას გიქადის. მე დარწმუნებული ვარ, ბევრი არა კეთილის მოსურნე ამ დუმილსაც და მოწყენილობის ჰავლს თვით საქართველოს დამოუკიდებლობის პრინციპიალურად უარყოფის საფუძვლად გამოიყენებს. მაგრამ ეს იქნება დემაგოგიური ახსნა ფაქტის, და არა სინამდვილის აღნიშვნა. არა გვგონია, ვისმეს არ სურდეს შექმნას პირობები მისი თავისუფალი განვითარების, მისი აყვავების და ამ ერის შვილად იწოდებოდეს.

მაგრამ საქართველოს ახვევია და ბლომადაც ახვევია გარედან მოსული ელემენტები, ისინი, ვინც დღემდე მის ბატონ-პატრონად გრძნობდენ თავს. მათთვის ამიერკავკასიის დამოუკიდებლობაც მიღებული იყო და მით უმეტეს საქართველოს დამოუკიდებლობას ვერ შეურიგდებოდენ, თუ პირველ დროს კიდევ ქონდათ იმედი, რომ კავშირი ერების დაინგრეოდა და თავის მხრივ ენერგიულად უწყობდენ ხელს ამ დანგრევას—მეორის შესახებ მხოლოდ ერთი იმედი და შეიძლება ქონდეთ: მის ხელახლა დაპყრობის და დამორჩილების. დიახ, ამიერკავკასიის დაშლა შეიძლებოდა, საქართველოს დაშლა კი არა. იგი ერთიანია შინ და გარეთ, მთლიანია თავის ეროვნული შემადგენლობით, კულტურით, ისტორიით, წარსულით, საერთო პოლიტიკური ბედით, ზნე-ჩვეულებით, ენით, სარწმუნოებით. იგი ამ რიგად ყველა იმ ელემენტებით არის შეკრული, რომელიც მთავარ გამაერთებელ ელემენტებს წარმოადგენენ თანამედროვე სახელმწიფოსთვის. მართალია მისი ეკონომიური განვითარება არ უდრის მოწინავე სახელმწიფოების განვითარებას, მაგრამ ერთი ფაქტია: საქართველო წარმოების იმ საფეხურზე სდგას, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოებრივ ორგანიზმის შექმნას თხოულობს. იგი ერთიანად შესულია კაპიტალისტურ წყობილების ხანაში და ცხადია პოლიტიკური ფორმა მისი არსებობის შეიძლება იყოს მხოლოდ თანამედროვე სახელმწიფო.

შეიძლება ვიდავოთ იმაზე, შესაძლებელია თუ არა ეკონომიური ძლიერებით იგი თავისთვის სავსებით გაუძლდეს, როგორც პატარა სახელმწიფო. ცნობილია, რომ ამ მხრით ყველა მეორე ხარისხოვან სახელმწიფოს დიდი ნაკლი აქვს, მაგრამ ამ ნაკლთან ერთად საქართველოს მოეპოვება დადებითი და საკმაოთ ძლიერი დადებითი მხარეებიც. მდიდარი ბუნება, ზღვის პირის მდებარეობა, ევროპასთან პირდაპირი კავშირის შესაძლებლობა და მაშასადამე შესაძლებლობა თანამედროვე უმაღლესი კულტურის ზიარებისა.

გაზეთის აზრით შინაგანი ძალები ხელს უწყობენ საქართველოს განვითარებას. სახიფათოა მხოლოდ გარეშე ძალა, რისთვისაც საჭიროა გარანტიის მოპოვება.

## ეროვნულ საბჭოში

გუშინ მთავრობის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა საქართველოს ეროვნულ საბჭოში განაცხადა, რომ მთავრობამ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათანავე გაჰგზავნა თავის წარმომადგენელი ქ. ფოთში, სადაც იმყოფებოდა ბერლინისკენ მიმავალი გერმანიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარე, რომელმაც შემდეგი განუცხადა მთავრობის წარმომადგენელს: გერმანია ალიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას, რის დასამტკიცებლად იგი დროებით ნიშნავს დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოს რესპუბლიკასთან და კონსულს ქ. ფოთში, გერმანია ალსთქვამს, რომ იგი დაიცავს საქართველოს დამოუკიდებლობას და მისი ტერიტორიის ხელშეუხებლობას, საიმპერიო მთავრობა გერმანიისა აგრეთვე ალსთქვამს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ალიარონ ოთხთა კავშირმა და რუსეთის მთავრობამაო. საბჭო და დამსწრე საზოგადოება პრემიერის ასეთ განცხადებას მხურვალე ტაშით შეხვდა.

თავმჯდომარედ ეროვნულ საბჭოსი ერთხმად არჩეულ იქმნა კარლო სიმონის ძე ჩხეიძე.

ეროვნ. საბჭომ თავის გუშინდელ სხდომაზე აირჩია სამეურნეო კომისია, რომელიც სასახლის ეროვნულ საბჭოს საჭიროების და მიხედვით გამოიყენებს. კომისიაში შედის 7 კაცი. ჩვენი ფრაქციის მხრივ ამ კომისიაში შედის თ. ღლონტი.

სოც.-ფედ. შეკითხვა. ეროვნულ საბჭოს გუშინდელ სხდომაზე ჩვენმა ფრაქციამ შეკითხვით მიმართა მთავრობას შესახებ ტფილისში გავრცელებულ ხმებისა, თითქოს ადერბეიჯანმა გადასწყვიტა თავის დამოუკიდებლობა აქ, ტფილისში, გამოაცხადოს და მოქმედებაც აქვე დაიწყოსო. მთავრობამ შეკითხვაზე უპასუხა სამხედრო მინისტრის პირით, რომ ასეთი გადაწყვეტილება, ადგილობრივ გავლენიან მუსულმანთა სიტყვით, მიიღო ადგილობრივმა ეროვნულმა საბჭომ ადერბეიჯანისამ, მხოლოდ აქტი ადერბეიჯანის დამოუკიდებლობისა გამოცხადება განჯაში და არა ტფილისში, მაგრამ რადგან, განჯაში რადიოს სადგური არ არის, ამიტომ ითხოვეს უცხო სახელმწიფოებს ეს აქტი ტფილისის რადიო-სადგურიდან ეცნობოსო. შემკითხველი ფრაქცია ასეთ განმარტებით დაკმაყოფილდა.

## თავდაცვის საბჭოს ბრძანება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დადგენილებით ტფილისის დაცვის საქმე ევალება თავდაცვის საბჭოს. რომელშიაც შედიან: მთავრობის თავმჯდომარე, მთავარსარდალი, სამხედრო მინისტრი, გარნიზონის უფროსი მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე, წითელ-რაზმის მთავარ შტაბის წარმომადგენელი და ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელი.

რადგან ტფილისს საფრთხე მოელის გარეშე მტრისაგან და საჭიროა საზოგადოებრივი წესიერების დაცვა შიგნით. თავდაცვის საბჭო აცხადებს ქალაქში საალყო წესებს. ამის გამო: 1. ყველა ის, ვისაც სათანადო ნებართვა არა აქვს ვალდებულია სამი დღის განმავლობაში ჩააბაროს იარაღი წითელი რაზმის მთავარ შტაბს (სასახლეში) ან ტფილისის დამცველ შტაბს (ყოფილ კომენდანტის სამართველოში), 2. ქალ. ტფილისში შემოღებულია საგანგებო სარევოლიუციო სასამართლო, რომელსაც უფლება აქვს დასაჯოს დამნაშავენი, ვიდრე სიკვდილით დასჯამდე.

სიკვდილით დაისჯებიან (დახვრეტით):

ა) ფრონტის დატოვებისათვის თავისი ნებით.

ბ) ტფილისსა და მის მიდამოებში შეიარაღებული გამოსვლისათვის წესიერების წინააღმდეგ.

გ) ყოველგვარი მოქმედებისათვის, რაც კი ფრონტებს აუძლურებს და ხელს უწყობს.

დ) მყვლეფელობისათვის

ბრძანება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

თავდაცვის საბჭო

ტფილისი 1918 წლის 28 მაისი.

## მთავრობაში.

### ფინანსთა სამინისტრო

ბრძანება № 1, 1918 წლის 28 მაისი:

1) ყოველგვარი განკარგულება ფულის მიცემის შესახებ, რომლისათვისაც ამიერკავკასიის მთავრობის ფინანსთა მინისტრის ნებართვა იყო საჭირო, ამა წლის 29 მაისიდან ნებადართული უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის გიორგი დურმიშხანის ძის ჟურულის მიერ ან ფინანსთა მინისტრის ამხანაგის კონსტანტინე პლატონის ძე კანდელაკის მიერ.

2) მოქალაქე თარხანოვი განთავისუფლებულია სახელმწიფო ბანკის კონტორის კომისარის თანამდებობიდან.

3) სახელმწიფო ბანკის კანტორის კომისარად ინიშნება მინა გიორგის ძე ბერიძე.

4) ინჟენერი გრიგოლ ზაქარიას ძე ქურდიანი ინიშნება სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის კომისარად.

ხელს აწერს: საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი:

გ. ჟურული.

### გზათა სამინისტროში.

საქართველოს რესპუბლიკის გზათა მინისტრმა განკარგულება გასცა—ჩამოართვან ავტომობილები ყველა იმ პირებსა და დაწესებულებას, რომელთაც უფლება არა აქვთ ისარგებლონ.

ამიერკავკასიის სეიმის ლიკვიდაცია, ტფილისი 28 მაისი. კანონი ამიერკავკასიის სეიმის კანცელარიის გაუქმებისა და უკანასკნელის საქმეების ლიკვიდაციის შესახებ:

1) რადგან ამიერკავკასიის სეიმი დაიშალა, მისი კანცელარია უნდა გაუქმებულ იქმნას და მასში მოსამსახურე პირები, თუ ისინი რაიმე ახალ თანამდებობას არ მიიღებენ, შტატს გარეშე უნდა იქმნენ გამოცხადებული თანახმად რუსეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის 1917 წ. 29 ივნისის დადგენილებისა (შტატს გარეშე დარჩენილებს რომ შეეხება).

2) ამიერკავკასიის სეიმის პრეზიდიუმმა და საოჯახო—განმკარგულებელ კომისიის წევრებმა ყოველი საჭირო ზომა უნდა მიიღონ სეიმისა და მისი კანცელარიის ლიკვიდაცია მოახდინონ და სასახლე და მისი ქონება მთავრობის ორგანოებს გადასცენ.

1918 წლის 26 მაისი. ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგად დაინიშნა გიორგი სიკოს ძე ნიკოლაძე.

მთავრობამ დაადგინა დაარსოს ფოთში საგანგებო კომისია ქალაქის თვითმართველობის ინიციატივით, იმ მიზნით, რომ აღნიშნულმა კომისიამ მიიღოს მთელი ქონება ბათომიდან ფოთში გადმოტანილი. ფოთის ქალაქის თვითმართველობის განკარგულებაში გადაიდვა 600 ათასი მანეთი.

## საოპერაციო ცნობები

26 მაისი. 12 საათი.

ახალციხის მიმართულებით ადგილობრივმა. მცხოვრებლებმა დიდი ძალებით შემოუტიეს ჩვენს ნაწილებს; ჩვენი ნაწილები უკან იხევენ. მცხოვრებლებს 2 ზარბაზანი აღმოაჩნდათ, რომლებითაც ისინი ჩვენს უკან მომავალ ნაწილებს ესვრიან,

სხვა მიმართულების ცნობები არ მოსულა.

27 მაისი. 12 საათი.

ყარაკლისის მიმართულებით. ყარაკლისის რაზმში ოსმალოთა პარლამენტიორები მოვიდნენ.

ერევნის მიმართულებით „დრო“-ს რაზმმა 25 მაისს გათენებისას იერიში მოიტანა მტერზე ყარბალად-კონდახსაზ-მელიქ-კენტის ფრონტზე. ჩვენი ცხენოსნები რაინდულად შეიჭრნენ სოფ. კონდახსაზში, სადაც 30-მდე ასკერი მოჰკლეს ამავე დროს ჩვენმა ნაწილებმა გარეკეს მტერი ტანაეიზის მაღლობიდან. 11 საათზე მტერს დახმარება აღმოუჩინა ქვეითა ჯარმა და არტილერიამ, ძლიერი, საარტილერიო ცეცხლის გაჩაღებით კონტრ-იერიში დაიწყო და დაახევინა ჩვენს ნაწილებს წინანდელ ადგილამდე.

სარდარაბადის მიმართულებით. ცხარე ბრძოლა სწარმოებს: ოსმალოები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ ტიულკი-ტაპის მთასთან, რომელიც სად. არაქსის ჩრდილოეთითაა 5 ვერსის მანძილზე.

ზღვის სანაპიროებით მშვიდობიანობა არ დარღვეულა.

27 მაისის ცნობა.

გუმბრის მიმართულებით ყიშლიანთან ჩვენმა ჯარმა 25 მაისს მტერი შეაჩერა, რომელიც როგორც ტყვეები გადმოგვცემენ, ყარაკლისის ასაღებად მოდიოდა; 26 მაისს დილით ჩვენებმა შეტევა დაიწყეს; შემოუარეს მტრის მარჯვენა ფრთას გიადა-მაიმეხის მთით; ეს ოპერაცია მიუხედავად იმისა, რომ ადგილი მეტად მიუვალი იყო ბრწყინვალედ დამთავრდა. საღამოს სასტიკი ბრძოლის შემდეგ მტერი გარეკეს გაჯი-კარიდან და მაღლობებიდან, ამ სოფლის აღმოსავლეთით რომ არის. ამავე დროს ჩვენ შეუტიეთ ფრონტზე და მაღლობები დავიპყარით 650-ის მაღლობის რაიონში. მტერი გაიქცა. აქ მტერი საგრძნობლად დაზიანდა. ჩვენ დავაზიანეთ მტრის [illegible] ჩვენი დანაკლისიც დიდია.

ერევნის მიმართულებით მტერმა 26 მაისს დილით დიდი ძალები დააგროვა და შემოუტია ბაშ-აბარანის რაზმს და მარცხენა ფრთით მოუარა მას, რადგან დახმარება არსაიდან აღმოაჩნდა მას, და მტერი ალყას შემოარტყამდა, რაზმმა დაიხია სოფ. ყაზანჩი-ყარაკლისის რაიონში, სადაც შეუერთდა მოახლოვებულ დამხმარე ნაწილებს. უკან დახევისას ჩვენ იქ ერთი ზარბაზანი დავტოვეთ.

სარდარაბადის მიმართულებით. ოსმალოებმა უკან დახევა დაიწყეს თავისი მარჯვენა ფრთით არაქსის სადგურიდან. ჩვენმა ნაწილებმა მთელი ფრონტით დაიწყეს შეტევა.

ვიშინსკი.

ტფილისი. 29 მაისი. „ანდრონხანი“.

28 მაისი. 12 საათი.

ზღვის სანაპიროებით მშვიდობიანობა არ დარღვეულა.

ახალქალაქის რაიონში ქალ. ახალქალაქის გარნიზონმა დასცალა ყველა ტყვია-წამალი, რაც კი გააჩნდა, და ხუთი დღის ბრძოლის შემდეგ დასტოვა ქალაქი 23 მაისს და ჩრდილოეთ მიმართულებით დაიხია.

გუმბრის მიმართულებით 25 მაისს მტერმა ზარბაზნები და ტყვიის მფრქვევლები დაუშინა ჩვენს ნაწილებს, რომელიც არჩუტისაკენ იხევდა, ამამლის სადგურის აღმოსავლეთით რომ არის. ჩვენი არტილერიის ბრწყინვალე მოქმედების წყალობით ოსმალოთა შეტევა შეჩერებულ იქმნა, მაგრამ მტერმა მაინც შესძლო ხაჯი-კალას დაკავება. ცხენოსან რაზმის ბრწყინვალე იერიშის დროს მთის ერთმა ბატარეამ რომ აწარმოვა, გმირულად დაიღუპა ბატარეის კომანდირი შტაბს-კაპიტანი მოვსესოვი.

ერევნის მიმართულებით ჩვენი ნაწილები მტრის ნაწილებს წააწყდნენ და სასტიკი ბრძოლა დაიწყო ტიულკი-ტაპას მთასთან, არაქსის სადგურთან რომ არის. სხვა ადგილებში მზვერავთა რაზმების მოქმედება სწარმოებს.

ტფილისი, 28 მაისი.

სომხის ეროვნულ საბჭოს დეპეშით ატყობინებენ, რომ ალაგეზის სადგურთან ოსმალოები სასტიკად დამარცხდნენ და თავზარდაცემულნი გარბიან. მათ ჩვენები ფეხ-და-ფეხ მისდევენ. ყოველი მხრიდან გროვდებიან დეზერტირები, იარაღითა და ტყვიებით. ჩვენს ნაწილებში დიდი აღფრთოვანება.

## ადერბეიჯანის რესპუბლიკა

მაჰმადიანთა ეროვნულმა საბჭომ საცირკულიარო დეპეშა დაუგზავნა ყველა სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებს, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიიდან საქართველოს გამოყოფის გამო ის ადერბეიჯანს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბ-

## ეროვნება და ეროვნული თავისუფლება

II

ასე თანდათან მძიმე ნაბიჯით ფეხს იკიდებს კულტურა, რომელიც თავდაპირველად მჭიდროდ არის დაკავშირებული ბუნების თვისებასთან; მაგრამ შემდეგ და შემდეგ დამოუკიდებელ არსებობას მოიპოვებს. დაძლევა იმის, რაც აბრკოლებს ადამიანის სიცოცხლეს და ზრდას, არის კულტურა. ერთი უდიდესი კულტურული საშუალება იყო ცეცხლი, რომელიც ალბად ჯერ შემთხვევით შეიძინა ადამიანმა და მხოლოდ მერე ისწავლა მისი გაჩენა ხელოვნურად გახმარი ხის ტოტების ერთმანეთზე ხახვით და კვეს-აბედით. პირველყოფილი ადამიანის უძლურებას არ შეადგენდა, რომ შედარებით სუსტი ხელების მეტი არა გააჩნდა რა, ამიტომ დიდი დაწინაურება იყო, როცა პირველი იარაღი გაიკეთა. ეს იარაღი ჯერ უბრალო ქვის ნატეხი იყო, ან მწვეტიანი ხის ტოტი, ან ნადირის ძვალი, ან თევზის კბილი. შემდეგ ისწავლა მხოლოდ ადამიანმა ილეკროს დამუშავება და ამ დღიდან აკეთებს მრავალნაირ იარაღს სხვა და სხვა საჭიროებისათვის—იარაღს ხმარობს როგორც მხეცების, ასე ადამიანების წინააღმდეგ. ამასთანავე ერთად ეჩვევა ჭურჭლის გამოთლის ხისა თუ ქვისაგან, მექოთნეობას, სწავლობს დაწნას და ქსოვას. მოახერხებს ორი ხის ერთმანეთზე გადაბმას და ამის საშუალებით გადადის მდინარეს, მერე აკეთებს ნავსაც. პირველად მისი თავშესაფარი გამოქვაბული კლდეა ან ხშირფოთლიანი ხე. შემდეგ კი თვითონვე აგებს ხის ტოტებს ან შეაწყობს ერთმანეთზე ქვებს—როგორც უფრო ემარჯვება—და გადახურავს ფოთლებით და ამრიგად იშენებს პირველ სახლს. თუმცა ცხელსა და თბილს ადგილებში ტანის შემოსვა საჭირო არ იყო, მაგრამ სასირცხვილო ნაწილების დასაფარავად და თავის მოსართავად ადამიანი გამოიგონებს ტანისამოსს.

ვიდრე ადამიანი მხოლოდ მონადირეა ან მეჯოგე და ერთად ერთს მის სიმდიდრეს, ქონებას, საქონელს შეადგენს მოშინაურებული ცხოველი, პირუტყვი, საქონელი (ამ მნიშვნელობით სიტყვა საქონელი ქართულში დღემდის შერჩა შინაურ პირუტყვს)—იმან არ იცის მუდმივი ბინადრობა და ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის, სადაც უკეთესი საძოვრებია. მაგრამ როგორც კი ხელს მოჰკიდებს მიწის დამუშავებას იგი მჭიდროდ უკავშირდება ნიადაგს. მიწა უკვე გარეგნული საგანი არაა მისთვის, იგი ამუშავებს მიწას, საკუთარ ოფლსა ღვრის შიგ, თვით ანაყოფიერებს, მიწა იცვლება მისი მკლავის მეოხებით, მცენარის თესლთან ერთად მიწაში ითესება ადამიანის შრომა, მოქმედება, ცოდნა, ადამიანი ეთვისება მიწას და ამიერიდან ნათესაური, თემური კავშირის გარდა მყარდება კავშირი განსაზღვრულ მიწასთან, ნიადაგთან. ადამიანებს აერთებს არა მხოლოდ ის, რომ ერთის სისხლისანი არიან, არამედ ისიც, რომ ერთ მიწაზე სცხოვრობენ. თუ წინად ჯოგის დაცვა იყო მთავარი საქმე, ეხლა უდიდესი ყურადღება მიქცეულია ტერიტორიის, მიწა-წყლის დაცვაზე. ისახება შეგნება მამულისა, სამშობლოისა.

მიწათ მოქმედება განვითარების მაღალი საფეხურია. მისთვის საჭიროა მრავალფეროვანი გავარჯიშებული მუშაობა. იგი მოითხოვს სამუშაო იარაღების გაუმჯობესობას. ამას აუცილებლად თან მოსდევს შრომის დანაწილება. ჩნდებიან ხელოსნები, სპეციალისტები, რომლებიც პირველად მხოლოდ საკუთარ თემისთვის ამზადებენ იარაღებს, ჭურჭლებს, სხვა და სხვა სამმარებელ ნივთებს, ხოლო მერე ბაზარზედაც გააქვთ გარეშეებისთვის. იწყება ვაჭრობა, რომელიც თავის მხრით იწვევს ხელოსნობას, წარმოების ზრდას და გაფართოვებას.

ამასთან ერთად იცვლება სოციალური ურთიერთობა. პირველყოფილმა საზოგადოებამ თითქმის არ იცის კლასობრივი და წოდებრივი დანაწილება, უთანასწორობა. იქ ყველაფერი საერთოა, ყველა ერთნაირად მშიერია ან ერთნაირად მაძღარი, რადგან არა აქვთ რა შესანახი, საქონელი. რასაც იშოვნიან, მოინადირებენ, იმ დღესვე ან მეორე დღეს უნდა შეჭამონ, გაათავონ, შენახვა და თადარიკი არაფრისა იციან. მაგრამ კულტურულ წარმატებასთან ერთად უპირატესობას მოიპოვებენ წინამძღოლები—უკეთესი მონადირები ან უკეთესი მეომრები, რომლებიც აირჩევენ ნანადირევის საუკეთესო ნაწილს, ტყავს, ძვლებს სამკაულისთვის, თავისთვის იტოვებენ მტრის დამარცხების შემდეგ მთელს ნადავლს ან უმეტეს ნაწილს მაინც; ეს უთანასწორობა მით უფრო იზრდება, რაც უფრო მეომარია თემი, რაც უფრო ხშირად უხდება მას ბრძოლა მეზობლებთან. ომიანობის განვითარება ხელს უწყობს მონების გაჩენას, ველური მტერს რომ ამარცხებს, მოჰკლავს და შეჭამს რადგან არ იცის მისი შრომის გამოყენება, რადგან შრომას საზოგადოთ მისთვის ფასი არ აქვს. მაგრამ შემდეგ ატყვევებს დამორჩილებულ მტერს, მიჰყავს სახლში და ამონავებს, აკეთებინებს სხვა და სხვა სამუშაოს.

საერთოდ შენიშნულია, რომ სოციალური დანაწილება გამოწვეულია ყველგან შრომის განაწილებით, ცხოვრების გართულებით. რაკი მიწას ფასი დაედვა, რაკი ფასი დაედვა შენახვას და შენახულს, გაჩნდა საქონელი, საქონლის გაცვლა, ყიდვა-გაყიდვა, გაჩნდა სიმდიდრე,—აუცილებლად უნდა მომხდარიყო ქონებრივი დიფერენციაცია, დაყოფა წოდებებად და კლასებად.

კულტურული ზრდა მარტო ქონებრივ საშუალებათა მოპოვება და განვითარება არაა. სულიერ კულტურას არა მცირედი მნიშვნელობა აქვს ადამიანის კეთილდღეობისათვის, ამ კულტურის უპირველესი გამოხატულებაა ენა. თვითონ ცხოვრებამ ბუნებრივად წარმოშობა ენა, ურომლისოდ შეუძლებელი იყო რაიმე საზოგადოებრივობა, წარმოუდგენელია კავშირი და ურთიერთობა, თუ არაა საშუალება ერთმანეთის გასაგებად, ერთმანეთის აზრის გადასაცემად. პირველი ენა—ეს მხოლოდ განმეორება იყო ადამიანის ინსტიქტიური ამოძახილისა, მიბაძვა ბუნების მოვლენათა ხმაურობისა და ცხოველთა ყვირილისა და მხოლოდ ნელ ნელა განვითარდა საზოგადოების არსებობის პირობებისა და თავგადასავალის გავლენით. ენას თან მოჰყვა თვლა, ანგარიში ხუთეულის, ათეულის და ოცეულის სისტემის და მერე წერა, რომელიც ჯერ ნახატებს წარმოადგენდა, მერე შემოკლებული ნიშნები იყო და ბოლოს მიიღო ის მარტივი მოხაზულობა, როგორიც აქვს მაგალითად ჩვენს ანბანს.

ადამიანის გონება როგორც კი იწყებს მოძრაობის, იგი ძალაუნებურად აკვირდება საკუთარი არსების და გარშემო ბუნების ურთიერთობას, იძიებს მოვლენათა მიზეზებს და ერთი მისი უპირველეს დასკვნათაგანი არის ის, რომ ადამიანის სიკვდილი მართლა არ ნიშნავს სიკვდილს, მოსპობას. ადამიანში სული, მეორე მე, რომელიც არ ჰქრება; სტოვებს გვამს, მაგრამ იქვე ახლო ბინადრობს და განაგრძობს არსებობას. სხვათა შორის ჩვენს ენაშიც არის დარჩენილი ამის კვალი. ადამიანი რომ მოკვდება, „მიცვალაო“—ვატყვით, ე. ი. შეიცვალა, სახე გამოიცვალა, მაგრამ კი არ მოისპობილა. ადამიანს რომ გული შეუწუხდება, გრძნობას რომ დაჰკარგავს, ვამბობთ: „გული წაუვიდა, სული წაუვიდა“ და როცა კვლავ გონს მოვა—„მობრუნდაო“, ე. ი. სული მობრუნდა, ისევ მოვიდა. ადამიანის სული იქვე თავის სახლ-კარის მახლობლად რჩება და შეუძლია დაეხმაროს თუ ავნოს ცოცხლებს. მან შეიძლება საცხოვრებლად რომელიმე ცხოველი, ხე, მთა აირჩიოს. სულები ყველგან არიან. მთელი ბუნება სავსეა, ყველაფერი იმათაგანაა—ქარი, წვიმა, ნიაღვარი. სულებს პატივისცემა სჭირიათ, თაყვანი უნდა სცენ ცოცხლებმა, თუ უნდათ, რომ ეს სულები მათი შემწენი და მეგობრები იყვნენ. ასე ისახება სარწმუნოება, რომელიც მერე მეტად რთულს ხასიათს მიიღებს.

სარწმუნოებასთან დაკავშირებულია მხატვრობის, ცეკვის, სიმღერის წარმოშობა. ადამიანი სცდილობს ხეზე, ქვაზე გამოხატოს თავისი ბატონის, უფალის, ღმერთის სახე. დარწმუნებულია, რომ ამ გამოხატულებაში მოთავსდება თვითონ ძლიერი სული და ამით მუდამ თან ეყოლება, სადაც კი წავა, თან წაიღებს და წაიტანს ამ ღვთაებას. ღვთის გულის მოსაგებად საჭიროა, რომ მას მუდამ ვაამებდეთ, მოვიგონებდეთ სულის თავგადასავალს, წარმოვადგენდეთ ამას მოძრაობით, მოქმედებით, ცეკვით. საჭიროა, რომ ქება შევასხათ კერპს გაბმულის სიტყვით, სიმღერით. (ასეთივე წესით აპატიოსნებს ადამიანი ყოველს ძვირფასს მიცვალებულს და ესალმება მის ცხედარს, მაგრამ მიცვალებული ხომ არ კვდება მართლა, მისი სულიც იქ მიდის, სადაც ღმერთები და წინაპართა სულები იმყოფებიან. იგი ერთნაირი ღმერთია და თუ ამ ქვეყნად კეთილი იყო ჩვენთვის, საიქიოსაც კეთილი დარჩება და დაგვეხმარება).

ამ ნიადაგზე აღმოცენდება და განვითარდება მხატვრობა, ქანდაკება, მუსიკა, მითხრობა, დრამატიული წარმოდგენა. რასაკვირველია უნდა დავსძინოთ ისიც, რომ ყოველგვარი ხელოვნების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სქესობრივ გრძნობას—ბრძოლის თავის სატრფოს, საწადელის მოსაპოვებლად, მოქიშპის დასამარცხებლად. ამის საუცხოვო მაგალითია ფრინველთა გარეგნული მოკაზმულობა და გალობა, რომლითაც ისინი ხიბლავენ და თავს აწონებენ მეორე სქესის არსებას. უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ რითმს ხმისას და მოქმედებისას მნიშვნელობა აქვს მუშაობის გასაადვილებლად და ადამიანები ბუნებრივად მიმართავდნენ ამ საშუალებას მძიმე ცხოვრების ტვირთის შესამსუბუქებლად...

როგორც უკვე მოვიხსენიეთ ზევით პირველყოფილი საზოგადოება წარმოადგენდა ჯოგს და მის არსებობას ასე თუ ისე შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. იგი მტკიცე შეიქნა, როცა [illegible]

ლიკად აცხადებს. რესპუბლიკაში შედის სამხრეთი და აღმოსავლეთი კავკასია.

## ახალი ამბავი

◆ **კაპიტანმა იოსებ გედევანიშვილმა** პოლკოვნიკობა მიიღო.

◆ **ავტომობილების შესახებ.** წითელი რაზმის შტაბის სარეკვიზიციო კომისიამ შემდეგი ბრძანება გამოსცა: „ამით ცხადდება საყოველთაოდ, რომ ყველა დაწესებულებას, სამხედრო ნაწილებს და ავტომობილების კერძო მესაკუთრეებს წითელ რაზმის შტაბის საგანგებო მოწმობა უნდა ჰქონდესთ, რომ მათ უფლება აქვთ ქალაქში ავტომობილებით სიარულისა; ამისთვის მანქანების და მოტორების პატრონებმა უნდა გამოგზავნოს თავისი მანქანები და შოფერები დილის 10 საათისთვის—1, 2, 3, 4, 5 და 6 კომისარიატში 1 ივნისს, ხოლო დანარჩენ 6 კომისარიატში 2 ივნისს მე-12 კომისარიატის მოედანზე. დაწესებულებებმა და სამხედრო ნაწილებმა უნდა წარმოადგინონ სია თავისი მანქანებისა. მანქანებისა და მოტორის ნომრით წითელი რაზმის მთავარ შტაბის სარეკვიზიციო განყოფილებაში (სასახლე, ოთახი № 20).

◆ **კულტურისა და შრომის კავშირში.** სამშაბათს, მაისის 28 საღამოს $7^1/_2$ საათზე გაიმართა კულტურის და შრომის კავშირის (ყოფილ ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების) წევრთა საზოგადო კრება, ახალ წესდების ნიადაგზე მოწვეული კრებამ განიხილა სამოქმედო გეგმა და დაამტკიცა იგი. გადაწყვეტილია უმთავრესი ყურადღება მიექცეს პრაქტიკულ მოღვაწეობას კულტურულ ნიადაგზე. დასასრულ არჩეულ იქმნა გამგეობა. გამგეობაში შედიან: გ. თ. ჟორდანია (თავმჯდომარე), კონსტ. მიხ. ამირაჯიბი (მისი ამხანაგი), თ. სახოკია, დეკ. ნ. ნათიძე, გ. გორდეზიანი, ივ. ბერიაშვილი და გ. ნატროშვილი, კანდიდატებად დ. ილ. წითლანაძე და ივ. გრ. მაღალაშვილი, ხაზინადრად—ზურ. ივ. გველესიანი.

◆ **ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯიახამიძისაგან** პარტიის სასარგებლოდ მივიღეთ 25 მან.

◆ **და-ძმა** რომელიც დანიშნული იყო წარმოსადგენად ქართულ კლუბში კვირას 26-ს გადაიდვა 2 ივნისისათვის აღებული ბილეთები გამოდგება ამ დღისათვის. დასაწყისი დილის 1 საათზე.

◆ **46000 მან. ყალბი „კერენსკის" ფულების აღმოჩენა.** ამ რამდენიმე დღის წინად ქალაქის მე 9 სამილიციო ნაწილის დრ. გამგეს გოგოლაშვილს მიუკვლევია, რომ ტფილისში დიდძალი ყალბი ფულები გამოაქვთ და ასაღებენ რუსეთისაკენ დაძრულ ლტოლვილთა შორის. კარგა ხანს ძიების შემდეგ ყალბი ფულების მკეთებელის ბინისათვის მიუგნიათ. ვერის დაღმართზე სასტუმრო ბელვიუში ნომრები ჰქონია დაჭერილი ვინმე ტერ-არუთინოვს, რომელსაც მოუწყვია ფულის საკეთებელი მანქანა და ასი ათასობით ბეჭდავდა თურმე. 28 მაისს საღამოთი მე-9 სამილიციო ნაწილის უფროსი მილიციონერების პერედერიისა და ავეტისოვის ხელმძღვანელობით გაიგზავნენ მილიციონერები კერესელიძე, ავეტისოვი და სხვანი და მსწრაფლ შემოერტყნენ ბელვიუს შენობას. გაჩხრიკეს ტერ-არუთინოვის ბინა და აღმოაჩინეს ფულის საკეთებელი მანქანა და სხვა და სხვა ხელ საწყობებში. ყალბი ფულები იპოვნეს 46,000 მ. აქვე მიაგნეს საბუთებსა და მიწერ-მოწერის ქაღალდებს. ეტყობა ტერ-არუთინოვს შორის ჰქონია ქსელი თავის სიყალბის გასასაღებლად. არუთინოვმა მოასწრო და გადაიმალა. მილიცია გაფაციცებით დაეძებს მას. არუთინოვის ბინაზე დააპატიმრეს მისი საყვარელი ქალი ჩერნიშევისა რომელიც აქტიურს დახმარებას უწევდა ტერ-არუთინოვს. ტერ-არუთინოვის „კამპანიათა" გამოსარკვევად ფიცხელი ღონისძიებანია მიღებული. ფიქრობენ დიდძალი ფული უნდა იყოს გასაღებული ტერ-არუთინოვის „ფაბრიკიდან".

◆ **ლტოლვილები.** უკანასკნელი ცნობებით 28 მაისისათვის ტფილისში იყო 30000-ზე მეტი ლტოლვილი, რომელთაგან 7000 უბინოდ არის. ყოველდღე კავკავში 700—800 კაცი მიდის. ყოველდღე კიდევ ემატებიან ლტოლვილები, განსაკუთრებით კარაკლისიდან. კავკავიდან იტყობინებიან, რომ თერგის სახალხო საბჭომ დაადგინა, აღუკრძალოს ლტოლვილებს კავკავში შესვლა, ვიდრე არ მოხდება ევაკუაცია იმ ლტოლვილებისა, რომელნიც წინად მოვიდნენ, ეს ზომა იმით არ გამოწვეული, რომ სურსათის კრიზისის ეშინიათ.

**ლტოლვილი ბავშვები.** სანაინიდან 28 მაისის თარიღით იტყობინებიან, რომ იქ 2000 ლტოლვილი ბავშვია დაგროვებული. მათ წამოსაყვანად მატარებელი მოითხოვეს.

◆ **პური.** ქალაქის დუქნებში მცხოვრებლებს ქერსა და სიმინდის ფქვილს აძლევენ ბარათებით, სახლის ორგანიზაციებს შეუძლიათ ყველა თავისი წევრის ქერი ერთად წაიღონ. ამისთვის საჭიროა წევრების ბარათები წარმოადგინონ.

◆ **დღეს** 30 მაის ქართულ კლუბში წარმოდგენილი იქნება ცნობილი ოპერეტა არშინ მალ-ალან.

◆ **ნაკადული.** რედაქციამ მიიღო ნაკადულის ორი ნომერი. 1 მცირე წლოვანთათვის და 2 მოზრდილთათვის. 1—2 ჟურნალები ჩვეულებრივი შინაარსიანათ არის შედგენილი.

◆ **კავკავიდან** 26 მაისს ლტოლვილთა საქმეების შესახებ რწმუნებული ჰენრიხგაი იუწყება; „კავკავში სახადის გავრცელების ასაშორებლად, გთხოვთ მხოლოდ ოთხას-ოთხასი კაცი გამომიგზავნოთ, და მაცნობოთ როდესაც გამომიგზავნით.

## გაუმარჯოს საქართველოს!

რა ვქნა, რა ვქნა, შვების ცრემლი
კვლავ დაემსხვრა ვერცხლის მძივად,
თუმცა სული კვლავად დრტვინავს,
თუმცა გული კვლავ მაქვს ცივად.
მე არ ვიცი: ცეცხლის სხივი
მზემ რომ სტყორცნა მშობელ მხარეს
შვება-ლხენას გვიქადის თუ
გლოვის ცრემლებს და ხვედრს მწარეს.
მე არ ვიცი: შვების ცეცხლი
კვლავ იმზევებს, ისხივოსნებს
და დაათრობს უშრეტ ალით
მშობელ ერის სათუთ მგოსნებს,
თუ კვლავ ჩრდილი ჩამოწვება
ჩემი ერის დრტვინავ სულში,
მწარე ხვედრი არ აკმარებს
რაც იტანჯა მან წარსულში.
მე არ ვიცი რა იქნება:
კვლავ ზამთარი თუ ზაფხული,
კვლავ ყორანი თავს დაგვჩხავლებს,
თუ გვიმღერებს კვლავ ბულბული,
მაგრამ მაინც აღარ ვკვნესი,
გულს არ ვიტეხ შავ ფიქრებით
და სამშობლოს თავს ვევლები
ლაღ ოცნების ლაღი ფრთებით.
და ვიძახი: გაუმარჯოს
ამაყ მთებს და ტურფა მდელოს,
გაუმარჯოს ჩემს სამშობლოს,
გაუმარჯოს საქართველოს!!!

ი. გადაჭკორია.

◆ **სად. ნაზრანიდან** ინგუშთა საბჭოს თავმჯდომარე ზობაგიევი იუწყება: ინგუშთა ეროვნული საბჭო ზომებს იღებს გზა მისცეს ლტოლვილებს რომელნიც საქ. სამხედრო გზაზე იმყოფებიან. საბჭო მოითხოვს შემდეგში ლტოლვილებს ნუ გამოუშვებთ საქართველოს სამხედრო გზით, რადგანაც ჩვენ მათ უზრუნველყოფაზე პირობას არ ვიძლევითო".

◆ **ტფილისში ჩამოვიდა** გრაფ შულენბურგი და 25 გერმანელი ოფიცერი.

◆ **რკინის გზის მოსამსახურეები.** რკინის გზის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე რკ. გზის ყველა მოსამსახურეს საყურადღებოდ დეპეშით იცნობება: „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და მოსამსახურეების გამოურკვეველ მდგომარეობის გამო, რკინის გზის მთავარი კომიტეტი სთხოვს ყველა მოსამსახურეს თავიანთ ადგილზე დარჩნენ, რკინის გზის შესახებ საქმის გამორკვევამდე.

◆ **რკინის გზაზე.** ამიერკავკასიის რკ. გზის უფროსმა 27 მაისს გზათა მინისტრს შემდეგი ტელეფონოგრამით მიმართა: სადგურ ტფილისში ამ ჟამად მოგროვდა 68 ვაგონი ლტოლვილებით, რომლებისაგან 30 ვაგონი ბაქოს რკინის გზის მოსამსახურეების მიერ არის დაჭერილიო ლტოლვილების გაგზავნა ფოთში შეუძლებელია, რადგანაც იქაც მრავალი ლტოლვილიაო.

◆ **დ. ზ. სარაჯიშვილის ქარხნის გაძარცვა.** გუშინ დილით 9 საათზე, უცნობი კაცი შევიდა სარაჯიშვილის ქარხნის კანტორაში, მოლარეს მიმართა თხოვნით კონიაკი მომეციო; მოლარემ უთხრა, ჯერ ადრე არისო მაშინ უცნობმა რევოლვერი ამოიღო და ფულის ყუთისაგან გასაღები სთხოვა, ამ დროს კიდევ ორი კაცი შემოვიდა, მოლარეს წაართვეს გასაღები და წაიღეს სულ 43 ათასი მანეთი. გარეთაც 2 შეიარაღებული კაცი იცავდა შესავალ კარებს.

◆ **ნური-ფაშა ევლახში.** შუშიდან ჩამოსულნი მოგვითხრობენ, რომ ევლახში ჩამოვიდა ნური-ფაშა, 25 ასკერი და 30 ოფიცერი. ნური-ფაშას შეხვდა დელეგაცია 10 სომხისა და 10 მაჰმადიანიდან; დელეგაციიდან ინჟინერმა ბებუთოვმა სიტყვით მიმართა ნური-ფაშას. შემდეგ ნური-ფაშა განჯაში გაემგზავრა. მაჰმადიანთა და სომეხთა შორის კეთილი დამოკიდებულებაა.

◆ **ექიმი სულთანოვი.** „მუსსავათისტების" ლიდერი ექიმი სულთანოვი ჩამოვიდა ტფილისში ოსმალეთის ოფიცერის ფორმაში, აღმასრულებელ კომიტეტმა მიიღო ზომები იმის ტფილისიდან გასაგზავნად.

◆ **ჯ.-კ. და მუშათა საბჭოს** აღმასრულებელ კომიტეტის ბიურომ განკარგულება გამოსცა, რომ არც ერთ სამხედრო ნაწილს ნება არ ექნება სასახლეში შევიდეს თუ ამის განკარგულება არ იქმნა წითელ რაზმის შტაბისაგან.

◆ **ბენზინის რეკვიზიცია.** მუშათა და ჯარისკაცთა ბიურომ განკარგულება გასცა ტფილისში ბენზინის რეკვიზიცია მოახდინონ.

◆ **სახაზინო ღვინის საწყობი** საოლქო სამიწათმოქმედო მართველობას გადაეცა.

## თავისუფალ საქართველოსათვის

„ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნის"
ილია ჭავჭავაძე.

აღსრულდა! მიჯაჭვული ამირანი კვლავ განთავისუფლდა ხანგრძლივ ტყვეობისაგან, ამიერიდან ჩვენი მრავალ-ტანჯული სამშობლო თავისუფალი და თანასწორი წევრია კაცობრიობისა.

მაგრამ არა კმარა მარტო დეკლარატორული განცხადება საქართველოს დამოუკიდებლობის, საჭიროა მისი განმტკიცება და განაღდება. ეს კი მხოლოდ მაშინ იქნება, როცა ყველა მოქალაქე სათანადოდ და უდრეკსად განიმსჭვალება მამულისშვილურის მოვალეობით ჩვენი თავისუფალი ნორჩი რესპუბლიკისადმი. ყველა ჩვენგანმა დიდმა თუ პატარამ, ქალმა თუ კაცმა უნდა გამოიბას ორი თვალის და ყურის მაგიერ, ოთხი თვალი და ოთხი ყური. მეტადრე ეს ითქმის ჩვენს მმართველებზე, **ჩვენი მთავრობა უნდა იყოს მაგარი რკინის მთავრობა**, ნამდვილი მნიშვნელობით ამ სიტყვისა, რაც გამოჩნდება მის ერთსულოვან, მტკიცე, მკაცრ და სამართლიან მოქმედებით; ერთ ხელში მას უნდა ეკავოს სიმართლის დროშა, მეორეში კი ბასრი მახვილი, არავითარი მერყეობა, ორჭოფობა და გამოურკვევლობა არ უნდა ახასიათებდეს მას—თუ გვინდა, რომ ხალხში ავტორიტეტი ჰქონდეს და გასავალი. ამ ჩვენი ცხოვრების მესაჭეებს უდიდესი მოვალეობა ეკისრებათ ჩვენი ქვეყნის მომავლის წინაშე. რადგან დღევანდელი გართულებული ცხოვრება ტიტანიურ და ზეკაციურ შრომას და გამჭრიახობას მოითხოვს მათგან. ამიტომ თუ რომელიმე წევრი მთავრობისა უხერხულად და შეუფერებლად იცნობს თავის თავს ამ მაღალ და მეტის-მეტად პასუხსაგებ თანამდებობაზე—მაშინ იგი მოვალეა არც ერთი წუთი აღარ დარჩეს მმართველობაში და დაუხანებლივ დაუთმოს თავისი ადგილი უფრო ღირსეულს.

საერთოდ ჩვენი ქვეყნის მეთაურებს ვიწრო პარტიული, თუ ჯგუფური თავმოყვარეობა და ქიშპობა აღარ უნდა ახასიათებდეს, ვინაიდან „ერთობა ჩვენთვის ტახტია"; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყველას მოგველის დაღუპვა...

ერმალოზ კახი.

## რუსები გავრეკეთ?

რუსეთის რევოლუცია ბუნებრივ დასკვნამდე მივიდა. წვრილ ერთაგან ძალით შეკოწიწებული დიდი სახელმწიფო ხუხულასავით ჩამოიშალა და პატარა ნაფოტებად იქცა. წვრილი ერები ეხლა თავისთვის, ცალკე, თვის ნებაზე აწყობენ დამოუკიდებელ სახელმწიფო ცხოვრებას. ამიერკავკასიაც ბუნებრივად მოსწყდა რუსეთს და საკუთარ გზას დაადგა. მაგრამ ეს ვერაფრად ეჭაშნიკათ აქ მცხოვრებ რუსებს, რომელნიც მუდამ პირველობას და პრივილეგიებს იყვნენ ჩვეული და ბარგი-ბარხანა აკიდებული ჰქნეს პირი ჩრდილოეთისკენ.—ჩვენ აქ აღარ გვედგომიხება, ჩვენ გვდევნიან, ჩვენ აღარაფერს გვეკითხებიან და თავის ნებაზე აწყობენ საქმესო,—წუწუნით, ჩაყვედრებითა და მუქარით გაიძახიან ისინი და, სამწუხაროდ, ამ პროვოკაციულ ხმას ჩვენში, ჩვენდა სამარცხვინოდ, ბევრი ეხმაურება, ზოგი შეუგნებლობით, ზოგიც ბოროტის ზრახვით ამეტყველებული. მაგალ. აქაური ბოლშევიკები ამას ბრძოლის იარაღად იყენებენ და ჩვენს შეუგნებელ და უვიც გლეხობას ჩასჩიჩინებენ ჩუმად თუ აშკარად—დღემდე ჩვენი ბატონიც და პატრონიც, მზრუნველიც და მოამაგეც რუსები იყვნენ და ამიერკავკასია რუსეთს იმიტომ გამოეყო, რომ რუსები გაერეკათ აქედან. მიდიან კიდეც, მაგრამ უიმათოდ ჩვენ აბა რას წარმოვადგენთ ან რა შეგვიძლია, მოვისპობით და დავიღუპებითო. გორში, ბოლშევიკების ერთ მიტინგზე, რამდენიმე ქართველი ჯარის კაცი, თავიდან ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი, გაბოროტებული გაიძახდა რუსები ჩვენი ძმები არიან; თქვენ ისინი აქედან გარეკეთ. თუ ასე არ არის, აბა ამოდენა ხალხში ერთი რუსი გვიჩვენეთო. დღე-მუდამ ამასვე ჰლაპარაკობენ სოფლად, ამასვე გაიგონებთ მატარებლის ვაგონში, ქუჩაში, ოჯახში, ქალისაგან თუ კაცისაგან, თითქოს მართლაც საქართველოს და ქართველი ერის არსებობა რუსეთზე და რუს ხალხზე იყვეს დამოკიდებული და რუსების თავის ნებით წასვლით (და არა გარეკით) ჩვენ განსაცდელში ჩავარდნილიყვეთ. აი ამაზე მსურს ცოტა ხანს შევჩერდე და ურწმუნო თომათ გამოველაპარაკო, საქართველო რუსეთს შეუერთდა ასი წლით იმ პირობით, რომ საქართველოს თვის შინაური საქმეები თავის ნებაზე უნდა ეწარმოებინა, რუსეთმა მუხანათობა გამოიჩინა, პირობა ჯერ სიამოვნებით მიიღო, მაგრამ მერმე, როცა თავისი დაიუმჯობინა, პირობის ქაღალდი მაგიდის ქვეშ ამოსდო მასპინძელს ქუდი გვერდზე გადაუდო და ჩვენს ოჯახში ისე დაიწყო ბატონობა, როგორც მას თვის იმპერიალისტური მადა უკარნახებდა. მდიდარი და სამოთხის დარი ჩვენი ქვეყანა თვის უბრალო პროვინციად გარდააქცია და თვისი კანონი, ზნე და ადათი, ჩვენი ხალხისთვის უცხო და მიუღებელი, გადმონერგა და სკოლას თუ სასამართლოში, ქუჩაში თუ ოჯახში, შინ თუ გარედ რუსული სული დაატრიალა. უპირველესად კი რუსთა გადმოსახლების საქმე ფართედ გაშალა, ფართედ და კარგად მოაწყო რუსთა ახალშენები, და რომ უფრო ზურგი მაგარი ჰქონოდა ჩვენში, გადმოსახლებული, ჩვენში ჩამოთესლებული რუსნი ყოველნაირი უფლებით და უპირატესობით აღჭურვა. ჩვენ მონა ვიყავით, ისინი ბატონნი, ჩვენ უფლებაგაძარცვულნი, ისინი უფლება-მოსილნი, ჩვენ სტუმარნი ჩვენს ოჯახში, ისინი—მასპინძლობდნენ... და ასე იყო მთელი საუკუნე, საუკუნეზე მეტი... ქართველი კაცისთვის, რაც უნდა ნიჭიერი და განათლებული ყოფილიყო, ყველგან, ყოველ დაწესებულებაში, კარი ჩაკეტილი იყო, რუსთათვის, რაც უნდა უნიჭო და გარყვნილი არა ყოფილიყვნენ, გზა ხსნილი და თავისუფალი. რუსისთვის არსებობდა კანონიც, სამართალიც, სკოლაც, ეკლესიაც, ყოველგვარი დაწესებულება და უპირატესობა; ქართველი კაცისთვის კანონიც დახშული იყო, სკოლაც და ეკლესიაც, საკუთარი ოჯახიც სამართლიანობაცა. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობით რუსთა მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა. გუშინდელი ბობოლა რუსი, უპირატესობასა და პირველობას ჩვეული, დღეს უფლებით გათანასწორებულია ამიერკავკასიის სხვა მოქალაქეებთან და დღეს იგი ვეღარსად მოითხოვს პირველ ადგილს. ამას რუსი მოსახლეობა ვერას გზით ვერ ურიგდება, ვერა სთმობს გუშინდელ პატივსა და დიდებას, რუსეთის იმპერიალისტური სულით თხემით ტერფამდე გაჟღენთილი, მეტადრე ვერ ურიგდება იმას, რომ გუშინდელი მონა, დღეს თავისუფალი მოქალაქე და გუშინ სხვის ხელში შემყურე, დღეს რუსეთისაგან დამოუკიდებლად, თავის ნებაზე, თავის სურვილზე აწყობს თავის საქმეს და რუსები ადგილობრივ ოჯახის მოშლას და რუსეთისაკენ გაქცევას ამჯობინებენ ასეთ „შეურაცხყოფას". მაგრამ წასვლის წინ თვის საღმრთო მოვალეობადა სთვლიან ტალახი ესროლონ მათ, ვის ოჯახშიც საუკუნეზე მეტია არა-მკითხე მასპინძლობასა სწევდნენ და ვისი დოვლათითაც და ქონებითაც ამ ხანში თავისუფლადა სარგებლობდნენ და ურცხვად, უსინდისოდ გაჰკივიან ყოველ გზა-ჯვარედინზე, გაჰკივიან კრებაზე, ოჯახსა თუ პრესაში და ქართველობას თავზე დაუმსახურებელ ბრალდებას ახვევენ: ქართველობას რუსები ჭირივით ეჯავრება, ქართველობა რუსებს სდევნის, ჰყრის თავის ადგილიდან რუსეთისაკენ ერეკება. და ამას ურცხვად და გაუსათეილად იმეორებენ არა ის რუსნი მარტო, რომელნიც თავბრუდასხმულნი იყვნენ ძლიერ რუსეთის ძლიერებით და დღესაც იმაზე ოცნებობენ—რუსეთი გაქრობებიდან გამოვიდეს და წვრილ ერთა ძვალსა და სისხლზე კვალ აიშენოს თავისი ერთობა და ძლიერება,—როგორც მაგალ. რუსთა შავრაზმელობა, კადეტები და მათი ორგანო „ნაროდნაია სვობოდა", არამედ ის რუსნიც, რომელთაც სოციალისტის იარლიკი მიუკრავთ შუბლზე და საერთო ძმობასა და ერთობაზე გაჰკივიან, როგორც მაგალ. რუსული სოც.-რევოლუციონერთა პარტია და მისი გაზეთი „ზნამია ტრუდა". და განა გასაკვირველია, რომ ბნელმა და გაუნათლებელმა რუს გლეხობამ ამ ხმას დაუჯეროს, აიშალოს ოც და ორმოც წლობით მოწყობილი ოჯახი და ფურგუნებით წყევლითა და კრულვით პირი ჰქნას ჩრდილოეთისკენ? და აკი წავიდნენ, წავიდნენ და მიდიან, მიდიან და ყველებ დახარჩენებიც, უეჭველია! რუსთა მესვეურების ჩაგონებული სული ჩვენს თავისუფლებას ვერ ურიგდება და რუს მოსახლეობას ჩრდილოეთისკენ ერეკებიან. ერეკებიან, მაგრამ ღირსეულ მემკვიდრეებს კი გვიტოვებენ, რუსულ „ბოლშევიზმის" შხამით გაჟღენთილ, გახულიგნებულ ქართველ ჯარის და ყალბის „ბოლშევიკებს", რომელნიც ქართველ უბირ ხალხს შხამავენ და რუსთა აყრას ჩვენ გვაწერავენ, რუსთა წასვლას ჩვენი ქვეყნის ჩამოქვეითებად და დაღუპვადა ჰსახავენ. ქართველობას რუსთა გარეკა კიდეც რომ სდომებოდა, ამას სისრულეში არ მოიყვანდა და თვის ტრა-

---

ში ჩაისახა ნათესაობის შეგნება და ეს ნათესაობა დაემყარა ჩამომავლობას ერთის დედისაგან. ასე შეიქმნა თემი, ნათესავების კავშირი, გაზრდილი, გაფართოვებული კავშირი. მეტად გაფართოვებული თემი, რომელიც ვერ თავსდებოდა ერთ ადგილას, იშლებოდა, ნაწილდებოდა რამდენსამე ერთეულად. მაგრამ ამასთანავე ერთად ხდებოდა მეორე პროცესიც—გაერთიანება თემებისა ან ნებაყოფლობით ან ერთმანეთის დაპყრობით და თუ ერთდებოდნენ მონათესავე თემები, მათი კავშირი უფრო მტკიცე იყო, ვიდრე მაშინ, როცა შეკავშირებული თემები სულ სხვა და სხვა მოდგმას ეკუთვნოდნენ. მაგრამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში განსხვავებული თემებიც გაითქვიფებოდნენ ერთიმეორეში, უნათესავდებოდნენ და ეთვისებოდნენ ურთიერთს და ჩნდებოდა ახალი მოდგმა, ახალი თემი-ტომი.

საზოგადოებრივი ერთეულის არსებობა მოითხოვს განსაკუთრებულ წესებს. ამ წესებს თავდაპირველად ჩვეულებათა, ადათების ინსტიქტიური ხასიათი აქვთ. მხოლოდ შემდეგ მიიღებენ შეგნებულად შემუშავებულის კანონების სახეს. საზოგადოების—თემის, გვარის, ტომის სათავეში დგას უფროსი, რომლის თანამდებობა შემდეგ დროებით გადადის ერთიდან მეორე, ან უფროსს ირჩევს ყრილობა. არსებობს უხუცესთა საბჭო, ან დროგამოშვებით იკრიბება ერთად ხალხი, რომელიც თემის ან ტომის უფროსთან ერთად განაგებს საქმეებს. თუ საზოგადოებას ხშირად უხდება ომი—და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ ცხოვრობს მის მეზობლად—ეს დიდს გავლენას ახდენს მის აგებულობაზე, აქ ყველაფერი მკაცრს დისციპლინას, ბრძანებას ემორჩილება. უფროსი თან და თან ძლიერდება, ყველას უპასუხისმგებლო ბატონი ხდება, ართმევს ყოველსავე ძალას საბჭოს და ხალხის კრებას. იგია ჯარის წინამძღოლი, ყოველ სათემო და სატომო საქმის გამგებელი და ეკლესიის მთავარი ქურუმიც, მისი სახელით წარმოებს სამართალიც.

სულ სხვანაირია საზოგადოება, სადაც ომიანობას ნაკლები ადგილი აქვს. იქ ცხოვრება უფრო თავისუფალ კავშირს ემყარება, არ ვხედავთ სამხედრო წოდებას, კასტას. საერთო საკითხები, ყოველს შემთხვევაში მთავარი საკითხები წყდება ხალხის საერთო სურვილით...

**ასეთია მოკლედ სქემა ყოველი საზოგადოებრივი განვითარებისა.** მარტივი, სადა, ერთფეროვანი საზოგადოება თან და თან იზრდება, რთულდება და ხდება მრავალფეროვანი. თუ პირველ ყოფილი ადამიანი სრული მონაა ბუნების და ყოველი მისი მოქმედება ბუნების ნაკარნახევია, ბუნების და ადამიანის დამოკიდებულება უშუამავლო, პირდაპირია, არის მხოლოდ ერთად ერთი წრე—ბუნების წიაღი—რომელშიაც არსებობს და იზრდება ადამიანი, შემდეგ პროცესში ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანი ჰქმნის საზოგადოებას, ახალს წრეს, რომელიც მასა და ბუნებას შორისაა და ერთიდან მეორეზე გადასცემს მოქმედებას. ეხლა ადამიანი უკვე პირდაპირ კი არ განიცდის დედამიწას—მისი ჰავის, მდებარეობის, თვისებების გავლენას, არამედ საზოგადოების საშუალებით. საზოგადოება ერთგვარი საცმელია, რომელიც ჰმოსავს ადამიანს და იფარავს მას ბუნების პირდაპირი მოქმედებისაგან. საზოგადოების შექმნილი იარაღით, წესით, ცოდნით ადამიანი ებრძვის ბუნებას, შესცვლის მის მავნებელ და საზიანო მოვლენებს, და სარგებლობს და ეთვისება ისეთებს, რომლებიც ხელს უწყობენ მისი ცხოვრების გაფართოვებას.

ადამიანი ბუნების და კულტურის ნაყოფია, ხოლო კულტურა საზოგადოებაა, საზოგადოებრივი ატმოსფეროა, რომელშიაც ვცხოვრობთ და ვიზრდებით. ადამიანი კვდება, როგორც კი მოწყდება ბუნებას, მაგრამ იღუპება მაშინაც, როდესაც განკვეთილია საზოგადოებისაგან. ადამიანი, კერძო პიროვნება, რაც უნდა მდიდარი და მაღალი იყოს, ჰქრება, მიდის. საზოგადოება უკვდავია. ადამიანის ფიქრი და გრძნობა წაიშლება, საზოგადოებრივი შემეცნება და კულტურა მუდამ არსებობს. ადამიანი გადასცემს თავის შემოქმედების ნაყოფს საზოგადოებას, იქ აგროვებს ყველაფერს, რაც ღირსებითაა შემკული, რაც ძვირფასია, რაც გვასწავლის ცხოვრებას. აქ ინახება ფიზიკური გაუმჯობესობაც, რადგან ყოველი სისაღე, სიმთელე, სილამაზე შეძენილი კერძო პიროვნების მიერ, გადაეცემა ჩამომავლობათ და ამშვენიერებს მთელს მოდგმას.

ადამიანი მოკვდა, წავიდა, მაგრამ გაჰქრა ის მომხიბლავი ხმა, რომელიც ამოხდა მის გულს, ნაზი სიმღერა, მოხდენილი მისი ცეკვა, გმირული საქმე, სათნო მოქმედება, მადლი, სიკეთე? არა. ყველაფერი ეს აღბეჭდილია მომავალთა გულების ფიცარზე, მათ სისხლშია გალესილი, მით სულდგმულობენ ყველანი. ადამიანი იბადება, არა რაა, იგი მიიღებს ენას, კულტურას, ზნეს, ჩვეულებას საზოგადოებისაგან. მასვე გადასცემს, რაც თითონ შეიძინა, შექმნა, წარმოშვა. საზოგადოება სალაროა ყოველივე განძის—სულიერის და ფიზიკურის. აქაა ადამიანობის ყოველი ხაზთი, აქაა ადამიანის მთელი თავ-გადასავალი, მისი ავი და კარგი. ადამიანის ისტორიას ქაღალდზე დაწერა არ სჭირია, იგი დაწერილია საზოგადოების სახეზე, რომელიც დღეს არსებობს, და დაიწერება იმისაზე, რომელიც ხვალ იარსებებს.

ადამიანი არ ცხოვრობს განკვეთილად, საკუთარის არსებით. იგი ნაწილია, ერთი ატომია საზოგადოებრივი სხეულისა და მის გარეგნობასა და სულიერ თვისებებზე აღბეჭდილია მხოლოდ ის, რაც განიცადა, რაც განვლო მთელმა საზოგადოებამ. მსოფლიო პროცესისათვის სრულიად საინტერესო არაა ადამიანის კერძო ვინაობა—ეს შეუმჩნეველია,—გვინდა გავიგოთ, რომელი საზოგადოებრივი ერთეულის შვილია, ვინაიდან მხოლოდ ეს არკვევს სინამდვილეს და ათას ცვლილებათა ქაოსში ეს გვიჩვენებს ნათელს გზას. ჰქმნიან, შემოქმედნი არიან საზოგადოებანი და არა, ადამიანები. ცხოვრობენ კოლექტივები და არა ინდივიდები. ისტორია არის ისტორია საზოგადოებრივი ერთეულებისა და არა ცალკე ადამიანების, თუნდაც გამოჩენილების, ზეკაცების. ისტორია განუწყვეტელობა, განუკვეთელობაა და ასეთია მარტოდ მარტო საზოგადოება, რომლის გუშინდელი არის დღევანდელი და დღევანდელში ისახება უკვე ხვალინდელი დღე.

ხამ. ფირცხალავა.

(შემდეგი იქნება)

დიციას ვერ უღალატებდა. ყველაფერი შეგვიძლიან სთქვათ ქართველობაზე, მაგრამ იმის თქმა—ქართველობა სხვა ერს სდევნის და ავიწროვებსო, ცოდვა და დანაშაულია.

ჩვენს სამშობლოში მოდიოდა ყველა ვინც სხვაგან თავსაფარს და სამართალს ვერა პოულობდა, ჩვენს სამშობლოში, ჩვენს გვერდით, ჩვენს თვალში სცხოვრობდნენ სომხები, ლეკები, ებრაელები, ოსები, სპარს-ოსმალონი; ჩვენს ჭერქვეშ შემოფარებული იყვნენ ისეთნიც, რომელთაც მადლი მატლად გადაგვიქციეს, ქოშები გარედ გადმოგვიწყეს და მასპინძლობა დაისაკუთრეს მაგრამ ქართველი ერის ხანგრძლივ არსებობის ისტორიაში არავის ახსოვს, რომ ქართველობას ვისიმე უფლება შეელახოს, შეევიწროვებინოს და ვინმესთვის ეჩვენებინოს კარი. და ეხლა გაგვიწყრა ღმერთი, მეოცე საუკუნეში, როცა თავისუფლება მოვიპოვეთ და ადამიანის და ერის უფლებათა პატივისცემა წინ იქმნა წამოყენებული? ეხლა ვუღალატეთ ტრადიციას, ეხლა განვიზრახეთ ის, რასაც ამდენი ხანი სხვას ვუწუნებდით? ეხლა განვიზრახეთ რუსების გარეკა, როცა ამისთვის სულაც არა გვცალიან და ჩვენი სამშობლოს მოვლა-პატრონობა ჩვენთვის საარსებო საკითხად არის გარდაქცეული? გვაქვს ამის დრო, შეძლება? და თუ რუსები ჩვენი ქვეყნიდან მაინც გარბიან, ისინი ჩვენ კი არ გავრეკეთ ისინი თავიანთ თავს თვითონ ერეკებიან. ჩვენ არავისთან არაფერი გვაქვს სადავო, თუ ჩვენს ქერქში დაგვაყენებენ; ჩვენ ძმურად, მეგობრულად ვიცხოვრებთ ყველასთან, ვინც ჩვენს უფლებას და ადამიანობას უდიერად არ შეეხება; ყველას ვცემთ პატივს, ვინც იცის სხვის პატივისცემა და ადამიანური მოპყრობა. რუსებთანაც ჩვენ არაფერი გვქონებოდა გასაყოფი, ჩვენ მათ პატივით, მეგობრულად, ძმურად მოვეპყრობოდით მაგრამ რუსობამ, გუშინდელმა ბატონმა, ხოლო დღეს ჩვენთან უფლებით გათანასწორებულმა, არ ისურვა ჩვენთან ცხოვრება ძმურად და მეგობრულად; ვერ შეურიგდა ჩვენს თავისუფლებას, ვერ შეურიგდა, რომ გუშინდელი მონები დღეს თავისუფალ მოქალაქეებად გარდავიქეცით, ვერ შეურიგდა, რომ ჩვენმა ქვეყანამ რუსეთის [illegible] საკუთარ შემოქმედების გზას დაადგა, ვერ შეურიგდა და ბარგი-ბარხანა აკიდებული რუსეთისაკენ გაეშურა. რასაკვირველია ყველასა აქვს უფლება, ვისაც ჩვენი მეზობლობა და მეგობრობა არა სურს, აიკიდოს ბარგი და ჩვენი სამშობლო დასტოვოს, მაგრამ იმის უფლება კი არა აქვს—მთელი ერი უდიერად მოიხსენიოს და ის მოახვიოს თავზე, რაც ამ ერს სიზმრადაც არ მოუვა.

ჩვენი ხალხიც უნდა შეურიგდეს იმ ჭეშმარიტებას, რომ ვისაც მეოცე საუკუნეში საკუთარი ფეხით სიარული არ შეუძლიან, ის კულტურის სამეუფოს კარს თამამად ვერ შეაღებს და ადვილად ჩაიღუპება სახელმწიფოთა და ერთა ჭიდილის ორწოხებში. მეთვრამეტე საუკუნემდე საქართველო საკუთარი ფეხით დადიოდა და ამ ხანში ბევრჯერ განუცდია კულტურის და განათლების ოქროს ხანაც და ფიზიკური ძლიერებაც, უღელში გატარებულმა 117 წელმა საკუთარი ნებისყოფა, შემოქმედებითი მუშაობის უნარი ჩაგვიკლა და ეროვნული იერი დაგვიკარგა, წაგვართვა საკუთარ ფეხით სიარულის უნარიანობა და ხოხვას, სხვის ხელში შეყურებას, სხვის იმედზე დამყარებას მიგვაჩვია. ეხლა ისევ უნდა ვცადოთ საკუთარ ფეხზე წამოდგომა და საკუთარი გზით სიარული. ამას გვიკარნახებს მეოცე საუკუნე და ჩვენი აწინდელი მდგომარეობა. და თუ ეს ვერ შევძელით, თუ კვლავ სხვას დავუწყეთ ხელში შეყურება და საკუთარი უნარი ვერ გამოვიჩინეთ სიცოცხლისა, მაშინ იმ ერის ბედი გვეწვევა, რომელსაც საკუთარი არაფერი შერჩენია, მიჩვეულა სხვის ლუკმაზე ყოფნას, სხვის სამსახურსა და ძონძობაში გადაშენებულა და თავისი სახელი მხოლოდ ისტორიის ფურცლებზე დაუტოვია.

დიდი რუსეთი დაიქცა და დაიშალა. მის მონა წვრილმა ერებმა თავისუფლება ჰპოვეს და თავისუფალ ცხოვრების შენებას საკუთარი ძალ-ღონით შეუდგნენ. მონობის ხუნდები მოიხსნა ამიერ-კავკასიამაც და საქართველოც ცალკე თავისუფლების საკუთარ გზაზე გამოვიდა. დიდი რუსეთის იმპერიალისტური იდეით გაჟღენთილი რუსობა ვერ შეურიგდა ჩვენს თავისუფლებას და ბარგი-ბარხანა აიკიდა. ჩვენი დამოუკიდებლობის მტერნი ყოველ ორღობეში თუ შარა გზაზე ურცხვად და გაუწითლებლად გაჰკივიან წყლის ასამღვრევად ვითომ ჩვენ ჩვენი სამშობლოდან რუსები გავრეკეთ და სამწუხაროდ, ჩვენი ხალხის მდაბიო ნაწილი ამ პროვოკაციულ ხმას უჯერებს. მაგრამ ვისაცა აქვს ყურნი სმენად და თვალნი ხილვად, მათ კარგად ესმით და ხედავენ რომ არც რუსობას, არც სხვა ვინმეს ქართველობა არ ერეკება, პირიქით ძმურათ და მეგობრულად ვუწვდით ხელს ყველას, ვისაც ჩვენთანა ჰსურს ძმობაც და მეგობრობაც.

ხანგანიძე

# საყურადღებოდ.

ხელმძღვანელ წრეებიდან გამოსულ განკარგულებას იარაღის მოკრების შესახებ ყველა მოქალაქე სიამოვნებით შეხვდა.

დიდის ხნის ლოდინის შემდეგ შეგნებულ საზოგადოებაში მომწიფებულმა აზრმა გამოხატულება ჰპოვა. ჩვენი პირველი ჯარი ბოლშევიზმით მოწამლული დაიშალა. ჯარმა არ მოისურვა ჩვენი ფიზიკური არსებობის დაცვა და ბოლშევიზმის ლოზუნგების ქვეშ ამოფარებული სახლს მიაშურა. წაიღო თან იარაღი და სოფელში ძარცვა-გლეჯას, ხულიგანურ მოქმედებას, რევოლიუციონურ ორგანიზაციების დაშლას შეუდგა. გავიხსენოთ ლეჩხუმის, სამეგრელოს, ცხინვალის და სხვა ადგილებში მომხდარი ამბები. დღეს ჩვენი ერი უკიდურეს განსაცდელის წინაშე იმყოფება. ირგვლივ მტრისაგან გარშემორტყმული ღირსი დიდ ელის სასიკვდილოთ აღმართულ ლახვარს: რეალურის, ფიზიკური ძალის ქონლობას ბოლო უნდა მოეღოს და კვლავ აღსდგეს ქართველი ჯარი, სულით მაგარი, ერთი მიზნით გამსჭვალული: სამშობლოს დაცვა, აი რა უნდა ეწეროს მის დროშაზე. ამ დროშის ქვეშ სიკვდილი ყველა ქართველისათვის მამულისშვილურ სიამაყეს უნდა წარმოადგენდეს. საქართველო მკვდრეთით აღსდგა, უნდა აღსდგეს მისი ჯარიც, მისი დამოუკიდებლობის დამცველი, გათამამებული მტრის რისხვის მიმცემი.

დაურიგებელი იარაღი დღეს სოფლებში დაფანტული, დაშლილ სამხედრო ერთეულების ჯარისკაცების ხელში. პირველ საზრუნავი საგანი: უსაქმოდ მოხეტიალე ყოფილ ჯარისკაცების იარაღის აყრა.

პოდპორ. ხაშა გელოვანი.

# ქუთაისის ცხოვრება

ბათომის ისტორიამ ბევრი რამ შესცვალა და შეარყია ჩვენს ცხოვრებაში.

ჩვენი არსებობის ახალ ისტორიას შავი ფურცელი ჩაერია რომელმაც დაჩრდილა იმედი გაერთიანებული განახლებული ცხოვრებისა.

ერის არსებობა და მით უმეტეს სახელმწიფოებრივი სხეულისა შეუძლებელია, თუ მის შემადგენელ ნაწილებში არ არსებობს სრული შეკავშირებული მთლიანობა.

ძველი რუსეთი 1918 წლამდი არ დაიშალა ეს იმიტომ რომ თვითმპყრობელობას ეპყრა ხელში ტლანქი ძალით შეზოჭილი სახელმწიფოს სხეული.

რევოლიუციამ დაამსხვრია ეს ძალმომრეობა, მაგრამ იდეა გაერთიანებისა თავისუფლების დასაცველად უფრო ცხადი და აუცილებელი შეიქნა. ეს გაერთიანება-კი უნდა ყოფილიყო სრულიად ახალი, სამართლიანი, საერთო სოლიდარობისა, თანასწორობასიყვარულზე აგებული.

საუბედუროდ რუსეთის გაბატონებული ეროვნული სხეული ისე დასნეულებული გამოდგა რომ მან ბატონობის დათმობა ვერ შესძლო, და მონობაში აღზრდილმა თავისუფლების ხანაში გადასვლა ვერ მოახერხა. აქედან იწყება ახალი რუსეთის დაშლისა და დარღვევის პროცესი. ეს პროცესი თავისი შედეგებით რევოლიუციის ყოველგვარი მონაპოვარის დასამარებას, ემსახურება, სწამლავს და ასუსტებს სხვა და სხვა ერთა შემეცნება-შეგნება ფსიქოლოგიას.

სწორედ ამ საერთო ანარქიის, რევოლიუციის საერთო დამარცხების შედეგია ის სამარცხვინო და სამწუხარო ამბები, რომელთაც ადგილი აქვთ დღეს ჩვენი სამშობლოს სხვა და სხვა კუთხეში იმ დროს როდესაც ჩვენი ერისა და გადარჩენისათვის ჩვენი შეკავშირება და შეერთება ისეთვე აუცილებელი და საჭირო არის როგორც ჰაერი და მზე ცოცხალი არსებისათვის, ჩვენში. ჩვენივე ძმები შინაურ ამბოხებაში ჩაბმულან და გარეშე მტრის წინაშე ძველებურ ვაჟკაცობის ნაცვლად შინაურებში ლაჩრულ ბუზღუნით და მოქმედებით საქმეს ღუპავენ.

არის კიდევ ერთი და მასთან თვალსაჩინო ნაწილი რომელსაც ქეიფისა და დროს ტარებისათვის უკეთესი ჟამი ვერ უპოვია როგორიც დღეს გვადგია თავზე.

მშობელი ქვეყნის მწარე კვნესისა და გამოძახილის დასაფარავად. ის სალხინო მრავალ-ჟამიერს გაჰკივის.-.

—

ბათომის თავდაცვის ისტორია უკვე ვიცით. ბათომს და მასთან ერთად საქართველოს სიყვარულს თავი შესწირა მხოლოდ რჩეულმა და თავდადებულმა რაინდმა.

ჩვენი ჯარის დიდმა უმრავლესობამ მშიერ-მწყურვალ მტრის წინაშე ზურგი იბრუნა და მშიშარა კურდღელივით მოჰკურცხლა. გამოექცა სწორედ მას ვისაც თითონ უწყალოდ ერეკებოდა მთელი ომის განმავლობაში.

16 და 18 მაისს ბათომიდან ჩამოასვენეს და ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გალავანში დაასაფლავეს ორი გმირი ანარიის ფორტის კაპიტანი სიმონ შავგულიძე და არტილერისტი ონისიმე ღოლიძე.

სათანადო რევოლიუციონური წესრიგით დაკრძალა ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტმა ჩვენი პარტიის ეს ორი თავდადებული ამხანაგი.

დაკრძალვას დაესწრნენ აგრეთვე სოც.-დემ. დროშებით. ამხ. სიმონ შავგულიძე იყო სოც.-ფედ. რაზმის ხელმძღვანელი და ითვლებოდა შტაბის უფროსად სანამ იგი ბათომში არ გადაიყვანეს ანარიის ფორტის უფროსად. მისი გმირობა და ვაჟკაცობა ამ ფორტის დაცვაში იშვიათი მაგალითია სიმედგრისა და სიმტკიცისა.

ონისიმე ღოლიძეც, როგორც გამოცდილი მებრძოლი ღირსეულად მხარს უჭერდა ამხანაგს, და როდესაც თავისი ძმებისაგან მოღალატობრივათ თავმინებებული იგინი ებრძოდნენ მტრის ძალებს მათ არჩიეს გმირული სიკვდილი ნაძრახ სიცოცხლეს. დაიხოცნენ იგინი ერთად, და როგორც ძმად ნაფიცნი ერთად მწკრივად განისვენებენ დღეს ცაცხვის ჩრდილს ქვეშ სამუდამოდ დაბინავებული სამშობლოს წინაშე ვალ მოხდილი და საყვარელნი..

ჯაფარ-შაშა.

# გენ. ნაზარბეკოვის მოწოდება

გენერალმა ნაზარბეკოვმა სომხის ხალხს შემდეგი მოწოდებით მიმართა:

„სომხებო! ძნელ მდგომარეობას განიცდის დღეს ჩვენი ერი. საუკუნოებით ოსმალეთის მონობის შემდეგ ჩვენმა ხალხმა შეიგნო, რომ მას წუ არ შეუძლია მონობის ქვეშ ყოფნა და გადასწყვიტა იარაღით ხელში დაიცვას თავისუფლება და ბრწყინვალე მომავალი, ანუ ღირსეულად მოკვდეს.

დიდის სიძნელით შექმნილი არმია, ზოგიერთი ბნელ ელემენტების მეოხებით გაიხრწნა, დაკარგა აღფრთოვანება და ამას მოყვა დამარცხება ერთი მეორეზე უარესი, ერთი მეორეზე სამარცხვინო. დაწყებული საზავო მოლაპარაკება და დროებითი შეთანხმება თათრებმა მუხანათურათ დაარღვიეს. მათ არავითარი გაფრთხილება არ მოუციათ ისე დაიწყეს შემოტევა და ალექსანდროპოლი აიღეს. ამან სულ ერთიანად შეარყია ჯარის სულიერი მდგომარეობა და ჯარმა მიუხედავად იმისა, რომ მტერი არ მისდევდა, დაიწყო უწესრიგოთ გაქცევა და მტერს დაუტოვა აურებელი სამხედრო მასალები. გვგონია, რომ მტერი განაგრძობდა შეტევას და აიძულებდა სომეხ მცხოვრებთ მოწყვეტილიყვნენ თავიანთ კერას და გამხდარიყვნენ ოსმალეთის მონათ, მაგრამ, ღვთის წყალობით, ერევნის რაზმი, რომელზედაც იერიში მიიტანა, არ შეუდრკა [illegible]

და თოფ-პატრონები უკან დახევის დროს მცხოვრებთ ჩაუვარდათ ხელში, სასურსათო საწყობები გაცარცვეს- ბევრი ჯარისკაცი სახლში დაბრუნდა, არმია, რომელიც მიდის ბრძოლაში, უნდა იყოს ჩაცმული, შეიარაღებული.

სომხებო, თუ თქვენ გსურთ გადარჩეს თქვენი ოჯახები, ქონება, თუ თქვენ არ გინდათ უფრო მეტი მონობა, რომელსაც განიცდიან თქვენი ძმები ოსმალეთში, თუ თქვენ არ გინდათ სომხის ერის დაღუპვა, ყველამ, ვისაც ბრძოლის უნარი გაქვთ გამოცხადდით თოფებით, პატრონებით, ვისაც გაქვთ, ხუთი დღის სურსათით და დაიცავით სამშობლო, სანამ აქ მოეწყობოდეს სურსათის საქმე, შესწირეთ ჯარს პური, კარტოფილი, და სხვა სურსათი. გახსოვდეთ, რომ ყოველგვარი დაგვიანება დღევანდელ მომენტში დამღუპველია და თუ ჩვენ ახლა ვერ შევძელით დაცვა თავისუფლებისა, მაშინ ღირსი არ ვყოფილვართ საკუთარი ცხოვრებისა და ვაი ჩვენ მაშინ: მომავალი თაობაც წყევლა-კრულვით მოგვიხსენიებს ჩვენ. ჩვენ იმედი უნდა დავამყაროთ მხოლოდ საკუთარ ძალებზე და თუ ახლა ვერ შევძელით დახმარების გაწევა, არმიისათვის ხალხით, სურსათით, მაშინ ჩვენ დაღუპულნი ვართ. გახსოვდეთ, რომ მხოლოდ ეხლა შეგვიძლიან ბრწყინვალე მომავალი მოვიპოვოთ ბრძოლით, თორემ შემდეგში არც ჩვენ და არც ჩვენი მომავალი თვალით ვერ დაინახავს მას! შემოწირულებები გამომიგზავნეთ საინტენდანტო და საარტილერიო საწყობებში და ადგილობრივ საზოგადო დაწესებულებაში.

სომხების კორპუსის უფროსი გენერალი ნაზარბეკოვი.

გამომცემელი [illegible] რწმუნებული მთავარ კომიტეტისა


ვისაც
**სუსუნატი** (გონორეა) სტანჯავს, დაეჩქაროს მიმართოს მარტო ე. მ. აკოფოვს. საუკეთესო საშუალებაა. რაც მალე იქნება, მით უკეთესი. შეიარეთ მასთან 3-დან 7-მდე. ტფილისი კოჟენოგორსკის ქუჩა № 3. ე. მ. აკოფოვი. 511

ექიმი
**დოჩხინი**
პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასისტენტი იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს. დილის 7—12½ ს. საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76 (საიკინის კბილის საექიმო). ტელეფონი 7—38. 518

ექიმი
**დ. შარაშანიძე**
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. [illegible] ქუჩა, № 7. 2130

ექიმი
**ა. ლ. მალამბერიძე**
იღებს სამეანო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
**კ. ტყეშელაშვილი**
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კიროჩნის სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
**მ. წინამძღვრიშვილი**
[illegible] 1029

ექიმი
**გ. მ. მუხაძე**
იღებს სადიაგნოსტიკო ავადმყოფებს საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, [illegible] საზოგადოების შენობაში, [illegible] ტელეფ. 6—11. 1030

ექიმი
**ს. ზ. მირზოევი**
უფროსი ორდინატორი ტფილისის [illegible] საავადმყოფოსი, იღებს 4—6 ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
**შ. ა. მიქელაძე**
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
**ი. ი. ზერიშვილი**
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 450

ექიმი
**ნ. ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი [illegible] ქ. № 11. 426

ქ. [illegible]
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
**მაჩაბელი**
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცების 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანსკის ქუჩების [illegible], სახლი [illegible]. 142

ექიმი
**თიკანაძე**
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნის ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
**პავლე არდაზიანი**
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. [illegible] ქ. 12, 9 [illegible]. 1002

ექიმი
**ვ. მუსხელიშვილი**
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი
**ნ. ა. ფოფხაძე**
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამ. გრაფის ქუჩა № 8. სახლი მონასელიძისა. 459

მარტის 20 გაიხსნა
**ახალი სამკურნალო**
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეტიანცის
სამკურნალოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმი
**დ. ი. ჯაფარიძე**
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

**ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა დილით:
**„606“ და „914“ 11—12 ს.**
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (შარდის. ავადმყ.)
ვ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალების და საშარდისა.
ბ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
აფეტესიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
მ. გ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალების და საშვილოსნო ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალების ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010



**„სახალხო საქმი“-ს
რედაქციის კანტორაში**
იყიდება შემდეგი წიგნები:

| | |
|---|---|
| ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია“ მხოლოდ მეორე ტომ. | 3 მ |
| ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია“ წ. I | 4 „ |
| გრძელი წ. I | 3 „ |
| ქართველი მწერლები. | 2 „ |
| უცხოეთის „ | 2 „ |
| შიუკაშვილი—„მეგობრობა“. | — 60 კ. |
| ჯანაშვილი—„თამარ მეფე“. | 1 „ 20 „ |
| ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო“. | — 40 „ |
| ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი“ | — 50 „ |

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს ღაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე“.

**სტამბა
„სახალხო საქმე“**
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუთის პროსპ. ბარათის ქუჩა № 14, ტელეფონი 17—96.